



11

წლიური ანგარიში, 2011

კანონის
უზენაესობა
სამართლიანობისათვის



11

წლიური ანგარიში, 2011



British Embassy
TBILISI



Sida



EURASIA
PARTNERSHIP
FOUNDATION



RUSSIAN JUSTICE INITIATIVE



WESTMINSTER
FOUNDATION FOR
DEMOCRACY



COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE



USAID
აშშ-ის საგარეო და
საერთაშორისო
დახმარების
აგენტობა



NATIONAL
DEMOCRATIC
INSTITUTE
FOR INTERNATIONAL AFFAIRS

აშშ-ს საგარეო საქართველოში
The U.S. Embassy in Georgia



EUROPEAN HUMAN RIGHTS ADVOCACY CENTRE
EHRAC

ენიანიტყვაობა	6
<u>ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე</u>	9
იურიდიული კონსულტაციები და საპროცესო დოკუმენტები	13
წარმატებული საქმეები	15
სტრატეგიული საპროცესო დოკუმენტაცია ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში	19
საკონსტიტუციო საპროცესო დოკუმენტაცია	26
სტრატეგიული საპროცესო დოკუმენტაცია ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით	29
2011 წლის 26 მაისის მოვლენების შედეგად და ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტობრივ რეაგირება	30
იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა საპროცესო დოკუმენტაცია	32
შრომის უფლება	33
სასწავლალსრულების დაწესებულებებში განთავსებული პატივრიცხვის განუღებელი დანაშაულებები	34
<u>საზოგადოებაში საპროცესო დოკუმენტაციის ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება</u>	35
საინფორმაციო სემინარები, შეხვედრები რეგიონებში, ავტო-ტურები	35
იძულებით გადაადგილებულ პირთა მოხელისთვის, ტრენინგები და ცნობიერების ამაღლება	42
ჯანდაცვის უფლება	43
საზოგადოების საპროცესო დოკუმენტაციის ცნობიერების ამაღლება და შრომის უფლებათა დარღვევების პრევენცია	43
ოჯახში ძალადობის პრევენცია	44
საქართველოს ეროვნული პლატფორმა აღმოსავლეთის პარტნიორობისთვის	47
<u>ეფექტიანი, ანგარიშვალდებულებული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა</u>	49
ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში – სასამართლო პრაქტიკის ანალიზი	49
საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა	51
საინფორმაციო კომუნიკაციები	51
საინფორმაციო მონაცემთა საკანონმდებლო პროცესში	51
უფრო მეტი ინფორმაციის და ეფექტური პოლიტიკა მშვიდობასთან, უსაფრთხოებასა და სტაბილურობასთან დაკავშირებით	54
მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე	56
საინფორმაციო საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით	59
სასამართლო სისტემების მონიტორინგი საპროცესო დოკუმენტაციის სასამართლო ხელშეწყობისთვის	60
საპროცესო დოკუმენტაციის მონიტორინგი მქონე სისხლის სამართლის და ადამიანისტრასტულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებით ანალიზი	61
<u>კვალიფიციური, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება</u>	63
სასწავლო კურსები	63
სემინარები და ტრენინგები	66
სტაჟირება იურიდიული დანაშაულის ცენტრში	69
ინფორმაციის ანგარიში	70

ძვირფასო მეგობრებო,

ჩემთვის დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის არსებობის მეჩვიდმეტე წელს მოგესალმეთ საიას თავმჯდომარის სტატუსით.

საიამ კიდევ ერთი რთული, თუმცა, როგორც ყოველთვის, წარმატებული წელი განვლო. წარმოდგენილ ანგარიშში თქვენ შეძლებთ გაეცნოთ ჩვენ მიერ 2011 წლის განმავლობაში გაწეული შრომის და მიღწეული შედეგების შესახებ დეტალურ ინფორმაციას. ყველაფერი, რასაც ანგარიშში ამოიკითხავთ, საიას თითოეული თანამშრომლის თავდადებული შრომის შედეგია, რისთვისაც მათ განსაკუთრებულ მადლობას ვუხნდი.



საანგარიშო წლის განმავლობაში ჩვენ კვლავაც განვაგრძობდით საქმიანობას საერთო კრების მიერ დამტკიცებული სტრატეგიის შესაბამისად. რალა თქმა უნდა, პირველ რიგში, ორგანიზაცია იღვა ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის დაცვის სადარაჯოზე. ნიშანდობლივია, რომ თბილისსა და რეგიონებში ჩვენი იურიდიული დახმარებით მოსარგებლე ადამიანების რიცხვი წლიდან წლამდე იზრდება, რაც, უპირველეს ყოვლისა, საიას მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ნდობით არის განპირობებული.

ჩვენ მიერ გაწეულ საქმიანობაში განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია სტრატეგიული სამართალწარმოება როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში, რომელმაც წელს ჩვენი ორი მნიშვნელოვანი სარჩელი დააკმაყოფილა.

საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კუთხით სერიოზული სამუშაო იქნა გაწეული დევნილების უფლებებზე, შრომისა და საკუთრების უფლებებზე და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ასამაღლებლად. მნიშვნელოვანია ის სამუშაო, რაც ორგანიზაციამ გასწია თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით მოსახლეობის გასააქტიურებლად და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მათ ჩასართავად.

ვფიქრობ, საკმაოდ წარმატებულია ჩვენი საქმიანობა ეფექტური მმართველობის ხელშეწყობის

კუთხით. საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებებთან დაკავშირებით საიას ოპერატიულმა მუშაობამ უკვე იქონია პოზიტიური გავლენა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე და აღნიშნულ საკითხზე მუშაობას კვლავაც ვაგრძელებთ.

ჩვენმა თანამშრომლობამ სხვა ორგანიზაციებსა და კოალიციებთან საკმაოდ პოზიტიური შედეგი გამოიღო მედია კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად. ამჟამად კი, ინტენსიური პროცესი მიმდინარეობს სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად.

საკმაოდ რთულ მოცემულობაში ჩვენ ეფექტურად ვახერხებდით საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობას. მიუხედავად იმისა, რომ, პარლამენტის მეტისმეტად დაჩქარებული ტემპის გამო, ეს მისია ზოგჯერ მიუღწევადი ხდება, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საია ყოველთვის მოწოდების სიმაღლენეა და ოპერატიულად ახერხებს ექსპერტული მოსაზრებების წარდგენას პარლამენტისა და საზოგადოებისათვის.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთი უმთავრესი მიმართულება – იურიდიული განათლებისა და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა – ასევე პრიორიტეტად რჩება. მაღალია როგორც საიას სასწავლო ცენტრში სწავლის, ასევე, საიას ოფისებში სტაჟირების გავლის მსურველთა რიცხვი. მიმაჩნია, რომ ახალგაზრდები, რომლებიც საიას უერთდებიან და აძლიერებენ იმ ძირეული ღირებულებების პატივისცემით, რომლებზეც ეს ორგანიზაცია აღმოცენდა, ჩვენს მთავარ სიმდიდრეს წარმოადგენენ.

ახლა, როდესაც ვსაუბრობ საიას წარმატებებზე, ასევე მახსენდება ის დიდი სირთულეები, რომლებიც გასულ წელს გამოვიარეთ. მათ შორის, აღნიშვნის ღირსია 26 მაისის მოვლენები, რომლის დროსაც საიას თანამშრომლები რამდენიმე კვირის განმავლობაში 24 საათიან რეჟიმში მუშაობდნენ. ამავე საკითხებთან დაკავშირებით არაერთხელ გავხდით აგრესიული და არაეთიკური შემოტევების სუბიექტი. თუმცა, შემიძლია ვთქვა, რომ გადატანილ სიძნელეებს ხელი არ შეუშლია ჩვენი განვითარებისთვის. პირიქით, სწორედ ეს სირთულეები გვაძლევს წინსვლის მუხტს, გვაძლიერებს და გამოცდილებას გვატეხს.

პატივისცემით,

თამარ ჩუგოშვილი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მისიის განაცხადი

2010 წლის 31 ოქტომბერს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საერთო კრებამ დაამტკიცა 2011-2014 წლების სტრატეგია და მომავალი 4 წლის სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც ორგანიზაცია განაგრძობს საქმიანობას საწესდებო მიზნებისა და სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად.

წესდებისა და დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, წარმოვიდგენთ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის მიერ განხორციელებული საქმიანობის 2011 წლის ანგარიშს (სანგარიშო პერიოდი 2010 წლის 1 ოქტომბერი – 2011 წლის 1 ოქტომბერი).



ანგარიშის სტრუქტურა, გასული წლების მსგავსად, 4 სტრატეგიულ ამოცანას ეფუძნება:

1. ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის ბარებზე
2. საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება
3. ეფექტიანი, ანგარიშვალდებულ და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა
4. კვალიფიციური, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

ჩვენი ღვაწი


კანონის უზენაესობა სამართლიანობისათვის

ადამიანის უფლებების დაცვა, დაცვის მექანიზმების განვითარება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა დისკრიმინაციის გარეშე

საანგარიშო პერიოდში საიას საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას კვლავ მოსახლეობისათვის უფასო სამართლებრივი დახმარების გაწევა წარმოადგენდა. ჩვენი მიზნობრივი ჯგუფები, მსგავსად წინა წლებისა, იყვნენ სოციალურად დაუცველი მოქალაქეები, ჟურნალისტები, იძულებით გადაადგილებული პირები, პატიმრები და ა.შ. სამართლებრივი დახმარება მოიცავდა შემდეგ აქტივობებს: პირადი და სატელეფონო კონსულტაციები, სამართლებრივი დოკუმენტების მომზადება და საადვოკატო მომსახურება.



საიას თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეული იურიდიული კონსულტაციების საერთო რაოდენობაა 169923, რაც 36204-ით მეტია შარშანდელ მონაცემებთან შედარებით.



კონსულტაციების
საერთო ჯამი
169 923


კონსულტაციების რაოდენობის ზრდის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენდა ასევე საიას აქტიური და მიზანმიმართული საქმიანობა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლი პირებისა და მათი მემკვიდრეების დასახმარებლად. გასულ საანგარიშო წელს საიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წარმატებით დაასრულა საქმე – კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ. აღნიშნული გადაწყვეტილების აღსასრულებლად საქართველოს პარლამენტმა 2011 წლის 19 აპრილს მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლის მიხედვით, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლ პირებსა და მათ პირველი რიგის მემკვიდრეებს მიეცათ შესაძლებლობა, აენაზღაურებინათ მიყენებული მორალური ზიანი თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით. საიამ საჯარო განცხადება გამოაქვეყნა და ბენეფიციარებს უფასო სამართლებრივი დახმარება შესთავაზა. შედეგად, საიას თბილისისა და რეგიონულ

ოფისებს ბენეფიციართა საკმაოდ დიდმა რაოდენობამ მიმართა. მხოლოდ რეპრესირებულთა საკითხებზე საიას თბილისისა და რეგიონული ოფისების მიერ მოქალაქეებისათვის გაცემულ იქნა 22577 იურიდიული კონსულტაცია და მომზადდა 1428 სამართლებრივი დოკუმენტი.




იურიდიული კონსულტაციები და სამართლებრივი დოკუმენტები

საიას თბილისის ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრის მიერ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაიცა **51493** სამართლებრივი კონსულტაცია და მომზადდა **2453** სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტი.



კონსულტაციები თემატიკის მიხედვით



საადვოკატო მომსახურება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიას თბილისის ოფისმა აწარმოვა 33 სამოქალაქო, 74 ადმინისტრაციული და 68 სისხლის სამართლის საქმე.

2011 წლის 1 ოქტომბრისთვის თბილისის იურიდიული დახმარების ცენტრის წარმოებაშია:

- 51 – ადმინისტრაციული სამართლის საქმე
- 16 – სამოქალაქო სამართლის საქმე
- 30 – სისხლის სამართლის საქმე

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიას რეგიონული ოფისები კვლავაც განაგრძობდნენ სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების გაწევას, რაც, სხვა აქტივობებთან ერთად, მოიცავდა გასვლით შეხვედრებს მოსახლეობასთან ავტო-ტურების სახით.



ქვემოთ მოცემულია სტატისტიკა საიას რეგიონული ოფისების მიერ ბენეფიციარებისათვის გაწეული იურიდიული დახმარების შესახებ:

რეგიონული ოფისები	სატელეფონო	პირადი კონსულტაციები	გასვლითი კონსულტაცია	მედია-კონსულტაციები	სულ
ქუთაისი	11217	25998	3221	24	40460
გორი	1541	20912	7269	286	30008
რუსთავი	1536	2143	851	22	4552
ოზურგეთი	434	4461	1409	58	6362
თელავი	491	4216	756	11	5474
აჭარა	4496	14497	1329	74	20396
დუშეთი	456	1380	837	---	2673

სამართლებრივი დოკუმენტები:

	აჭარა	ქუთაისი	გორი	რუსთავი	ოზურგეთი	თელავი	დუშეთი	სულ
დოკუმენტი	2066	1120	1792	411	644	209	199	6441

წარმომადგენლობა სასამართლოში და ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე:

რეგიონული ოფისები	გორი	ოზურგეთი	თელავი	ქუთაისი	რუსთავი	აჭარა	ღუშეთი	სულ
საქმეების საერთო რაოდენობა	176	45	20	73	49	27	16	406
ადმინისტრაციული სამართალი	46	30	3	10	5	24	6	124
სისხლის სამართალი	32	12	8	26	33	2	7	120
სამოქალაქო სამართალი	98	3	9	37	11	1	3	162
წარმატებული საქმეები	43	3	5	40	12	23	4	130

წარმატებული საქმეები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიას იურიდიული დახმარების ცენტრების ადვოკატები, საიას გამგეობის მიერ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კვლავაც ახორციელებდნენ უფასო საადვოკატო მომსახურებას სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოში წარმატების მიღწევა კვლავაც რთულ ამოცანად რჩება. შედეგად, ბევრი საინტერესო საქმე, რომლებიც, მათი ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძვლიანობის გათვალისწინებით, ქვემოთ მოცემული წარმატებული საქმეების ჩამონათვალში უნდა იყოს, ამ სიაში ვერ მოხვდა. თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც მოხერხდა რამდენიმე მნიშვნელოვანი საქმის დასრულება მოქალაქეთა სასარგებლოდ.

1. სამართლებრივი დახმარება აღმოუჩინეთ ოჯახური ძალადობის მსხვერპლებს. შედეგად, ისინი მთავსებულ იქნენ ოჯახური ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარში.
2. მთელ რიგ შემთხვევებში, დავეხმარეთ მოქალაქეებს, რომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელახლა შეემოწმებინა მათი ოჯახების სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა და აღედგინათ სოციალური დახმარება.
3. საიას დახმარებით, სამოცამდე ბავშვს დაენიშნა ალიმენტი მათი სრულწლოვნების მიღწევამდე.
4. რამდენიმე შემთხვევაში, შევძელით ჩვენი დაცვის ქვეშ მყოფი პირებისათვის სახელმწიფოს მიერ უკანონოდ ჩამორთმეულ მიწაზე საკუთრების უფლების აღდგენა.
5. რამდენიმე შემთხვევაში, სასამართლოს მიერ მოხდა პირის ქმედუნაროდ აღიარება – მათ დაენიშნათ მეურვე და პენსია.
6. ჩვენი დახმარებით, სოციალურად დაუცველი ათეულობით ოჯახი გათავისუფლდა უკანონოდ დარიცხული კომუნალური გადასახადების გადახდისაგან.
7. მთელ რიგ შემთხვევებში, საიას ადვოკატების დახმარებით, არასრულწლოვნებს დაენიშნათ მარჩენალდაკარგულის პენსია.
8. ჩვენი აქტიურობის შედეგად, სასამართლომ დააკმაყოფილა განცხადება იურიდიული მნიშვნელობის მქონე უფლების დამდგენი საბუთების კუთვნილების ფაქტის დადგენის შესახებ და მოქალაქეებმა, სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, შეძლეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების დარეგისტრირება საჯარო რეესტრში.
9. დავეხმარეთ მოქალაქეებს კანონით გათვალისწინებული პენსიის დანიშვნაში.
10. დავეხმარეთ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს სადამფუძნებლო დოკუმენტების მომზადებაში.

11. ათეულობით შემთხვევაში, დავენმარეთ მოქალაქეებს სახელფასო დავალიანების ანაზღაურებაში.

საილუსტრაციოდ წარმოგიდგინთ იმ საქმეების ნაწილს, რომლებიც წარმატებით დასრულდა ჩვენი ადვოკატების აქტიურობის შედეგად:

სამოქალაქო სამართლის საქმეები

- საიას რუსთავის ოფისის დახმარებით, გარდაბნის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა რ.ნ-ს სამოქალაქო სარჩელი ავტო-საგზაო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ და მოპასუხე ბ.დ-ს დაეკისრა ზიანის ანაზღაურების სახით 1298 ლარის გადახდა.
- საიას აჭარის ფილიალის დახმარებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა ლ.ვ-ს მოთხოვნა და მოპასუხე ი.ო-ს დაეკისრა მოსარჩელე ლ.ვ-ს სასარგებლოდ 3902 ლარის გადახდა ზიანის ანაზღაურების სახით, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევით ჯანმრთელობისათვის საშიში ფიზიკური დაზიანებების მიყენების გამო.
- საიას დახმარებით, მოქალაქე მ.გ-ს, რომელიც არის დევნილი და 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაკარგა საიდენტიფიკაციო დოკუმენტები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაუდგინდა დაბადების რეგისტრაციის ფაქტი, რაც ერთადერთი გზა იყო მისი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აღსადგენად.
- საიამ საადვოკატო დახმარება გაუწია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ი.გ-ს, რომლის წინააღმდეგაც სარჩელი შეიტანა მისმა მეზობელმა და ითხოვდა ი.გ-ს მიერ უნებართვოდ აშენებული შენობის დემონტაჟს. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მისი სარჩელი არ დაკმაყოფილდა და შენობა, რომელიც სპეციალურად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებისთვის იყო აშენებული, დანგრევას გადაურჩა.
- საიას დახმარებით, დედის მიერ მიტოვებულ ა.ნ-ს, რომელსაც მამა გარდაეცვალა და ჩვილობის ასაკიდან ბებია ზრდიდა, მზრუნველი დაუდგინდა. ამასთან, სასამართლოს გზით გადაწყდა საიდენტიფიკაციო დოკუმენტების აღებასთან დაკავშირებით წლების განმავლობაში მოუგვარებელი პრობლემა, რის გამოც ბავშვს სწავლაში ხელი ეშლებოდა.
- საიას დახმარებით, სასამართლომ სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლებულ ლ.ბ-ს სასარგებლოდ შპს „საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობათა უნივერსიტეტს“ იძულებითი განაცდურის სახით 1540 ლარის გადახდის ვალდებულება დააკისრა. ასევე, ბათილად იქნა ცნობილი ლ.ბ-ს გათავისუფლების ბრძანება.
- საია სამართლებრივ დახმარებას უწევდა ჟ.მ-ს, რომელსაც არ გააჩნდა საცხოვრებელი სახლი. ერთ-ერთ შპს-ს აღებული ჰქონდა მისთვის ბინის აშენების ვალდებულება, რაც წლების განმავლობაში არ სრულდებოდა. საიამ ჟ.მ-ს სამივე ინსტანციაში გაუწია საადვოკატო დახმარება და, საბოლოოდ, სასამართლოს გადაწყვეტილებით, შპს-ს ჟ.მ-ს სასარგებლოდ 34875 აშშ დოლარის, ასევე, სახელმწიფო ბაჟისა და ექსპერტიზის ხარჯის ანაზღაურება დაეკისრა.
- საიას დახმარებით, თ.დ-მ, რომელსაც გარდაეცვალა მეუღლე და დარჩა ორი მცირეწლოვანი შვილი, მიიღო მეუღლის სამკვიდრო ქონება – წილი თანასაკუთრებაში არსებული საცხოვრებელი სახლიდან, ვინაიდან მათ სხვა თანამესაკუთრებელი ხელს უშლიდნენ საკუთარი ქონებით სარგებლობაში. ამასთან, სასამართლოს გადაწყვეტილებით მოხდა თანასაკუთრებაში არსებული ქონების გამიჯვნა.

ადმინისტრაციული სამართლის საქმეები

- საიას ქუთაისის ფილიალის დახმარებით, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ შ.რ. ცნო საცხოვრებელი ბინის კანონიერ მოსარგებლედ, რის შემდეგაც ამ უკანასკნელზე ქუთაისის მერიამ გასცა საკუთრების უფლების დამადასტურებელი მოწმობა და აღნიშნული ბინა უსასყიდლოდ გადასცა საკუთრებაში.

- საიას რუსთავის ოფისის დახმარებით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს დაევალა მოსარჩელე შპს „კავკასიონის“ სახელზე 8 ერთეული მექანიკური სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაცია საკუთრების უფლებით.
- საიას აჭარის ფილიალის დახმარებით, საქართველოს შემოსავლების სამსახურმა სრულად დააკმაფოფილა მოქალაქეების ა.ბ-ს, ც.ს-ს და ლ.ხ-ს საჩივრები სარფის საკონტროლო გამშვები პუნქტის წინააღმდეგ. შედეგად, მოქალაქეებს მოეხსნათ საზღვრის გადაკვეთის აკრძალვა და დაუბრუნდათ ჩამორთმეული ნივთები.
- საიას დუშეთის ოფისის დახმარებით, ნ.ჯ-მ შეძლო მის მიერ აუქციონზე შეძენილი უძრავი ქონება თავის საკუთრებად დაერეგისტრირებინა, რაც ვერ ხერხდებოდა სათანადო საბუთების არარსებობის გამო.
- საიას გორის ოფისის დახმარებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაეკისრა 2008 წლის ომის შედეგად იძულებით გადაადგილებული პირების – მ.გ-ს, ნ.გ-ს, ტ.გ-ს, ლ.გ-ს, ზ.გ-ს, ნ.ქ-ს, გ.გ-ს, თ.გ-სათვის დენილის სტატუსის მინიჭება.
- საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დ.დ-მ და გ.დ-მ 2008 წლის 30 ნოემბერს პატრულირებისას დააკავეს მოქალაქე ზ.მ. (პოლიციისათვის წინააღმდეგობის გაწევის მოტივით). დაკავებულს ბორკილებით შეუკრეს ხელები და ჩასვეს პოლიციის სპეცავტომანქანაში. დაკავებულის გადაყვანისას მოხდა ავტოსავალი შემთხვევა, რის შედეგადაც ზ.მ. გარდაიცვალა. მას დარჩა მეუღლე და ორი არასრულწლოვანი შვილი. საიას დახმარებით, ზ.მ-ს მეუღლემ ადმინისტრაციული სარჩელით მიმართა სასამართლოს. შედეგად, შსს-ს დაეკისრა არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ 500-500 ლარის გადახდა ყოველთვიურად სრულწლოვნების მიღწევამდე და ერთჯერადი კომპენსაცია 12000 ლარის ოდენობით.
- მოქალაქე ვ.მ-ს, სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე და 166-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენის მოტივით, თბილისის საქალაქო სასამართლომ შეუფარდა ადმინისტრაციული პატიმრობა 60 დღის ვადით. საიას ადვოკატი ჩაერთო აპელაციის ეტაპზე, გასაჩივრდა საქალაქო სასამართლოს დადგენილება და ვ.მ-ს საბოლოო სახდელად, 60 დღის ნაცვლად, შეუფარდა პატიმრობა 4 დღის ვადით.
- საიას საადვოკატო დახმარების შედეგად, სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაუქმდა თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დადგენილება, რომლითაც მოქალაქე ნ.გ. უკანონოდ იყო დაჯარიმებული 13000 ლარით, უნებართვო მშენებლობის გამო.
- მოქალაქე ლ.დ. ცნობილი იყო დაზარალებულად 2002 წლის 25 აპრილს მომხდარი მიწისძვრის შედეგად. მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდის ოქმით, იგი შეყვანილ იქნა პირველ რიგში დასაკმაფოფილებელ ოჯახთა სიაში და სარგებლობაში გადასაცემად გამოეყო სამოთახიანი ბინა, თუმცა, ბინა რეალურად არ გადასცემია და წლების განმავლობაში უწევდა ცხოვრება მიწისძვრით დაზიანებულ ბინაში, რაც საფრთხეს უქმნიდა მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. საიამ ლ.დ-ს სამივე ინსტანციის სასამართლოში გაუწია საადვოკატო დახმარება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხეს დაევალა ლ.დ-სთვის სამოთახიანი ბინის სარგებლობაში გადაცემა.
- საიას საადვოკატო დახმარებას უწევდა მოქალაქე ლ.ხ-ს, რომელსაც ბავშვობიდან უვადოდ ჰქონდა მინიჭებული შშმ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე) პირის სტატუსი. ის ყოველთვიურად იღებდა შშმ-სთვის გათვალისწინებულ პენსიას, თუმცა, 2008 წლიდან ერთი წლის განმავლობაში უკანონოდ ჰქონდა შეჩერებული პენსიის გაცემა და სოციალური სუბსიდიების სააგენტო უარს ეუბნებოდა მიუღებელი თანხის ანაზღაურებაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სააგენტოს ლ.ხ-ს სასარგებლოდ 1 წლის მიუღებელი თანხის გადახდა დაეკისრა.
- გ.მ. სამშვიდობო მისიით მსახურობდა ერაყში, სადაც სამხედრო მოვალეობის შესრულებისას აფეთქდა თვითნაკეთ ასაფეთქებელ მოწყობილობაზე და მიიღო სხეულის დაზიანება. აფეთქების

ისინი ეკვმიტანილები იყვნენ საქართველოს სსკ-ის 226-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ჯგუფური ქმედების ორგანიზება, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს).

- საიას დუშეთის ოფისის დახმარებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სოციალურად დაუცველ გ.გ-ს, რომელსაც ბრალი ედებათ საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე ნაწილის “ზ” პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (ქურდობა, ჩადენილი სადგომში უკანონო შეღწევით), მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ სასჯელის სახედ განესაზღვრა პირობითი მსჯავრი 6 წლის ვადით.
- საიას თელავის ოფისის დახმარებით, ბ.ქ-ს, რომელსაც ბრალი ედებათ საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში (თვითნებობა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი), თელავის რაიონული სასამართლოს მიერ დაენიშნა პირობითი მსჯავრი 1 წლის ვადით.
- 16 წლის ბ.ქ-ს ბრალად ედებათ ქურდობის ჩადენა და ემუქრებოდა თავისუფლების აღკვეთა 4-დან 7 წლამდე ვადით. საიას ადვოკატის მიერ საქმის მსვლელობის დროს მოძიებულ და წარდგენილ იქნა მისი ბრალის შემამსუბუქებელი მტკიცებულებები, რის შემდეგაც ბ.ქ-სთან გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და შეეფარდა 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 2010 წლის 18 დეკემბერს კი, გათავისუფლდა სასჯელადსრულების დაწესებულებიდან.
- კ.თ. ბრალდებულად იქნა ცნობილი საქართველოს სსკ-ის 238¹ მუხლით (ნასამართლობის მქონე პირის მიერ ცივი იარაღის ტარება). საიას დახმარებით, გაფორმდა საპროცესო შეთანხმება და კ.თ-ს სასჯელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

სტრატეგიული სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სტრატეგიული სამართალწარმოების კუთხით ყურადღება გამახვილდა საქმეებზე, რომლებიც შეეხებოდა ჟურნალისტური საქმიანობის დროს ინფორმაციის თავისუფლად მიღებასა და გავრცელებას. გამოიკვეთა, რომ აღნიშნული უფლება ადმინისტრაციული ორგანოებისა და ეროვნული სასამართლოების მხრიდან ვიწროდ განიმარტება და საქმეების სასამართლო განხილვის დროს მხედველობაში არ მიიღება ჟურნალისტების მიერ მოთხოვნილი ინფორმაციისადმი არსებული საზოგადოებრივი ინტერესი. ასევე, გამოიკვეთა სტრატეგიული სამართალწარმოების საჭიროება სახელმწიფოს მხრიდან საკუთრების უფლების უხეში დარღვევის ფაქტებზეც.



გასული საანგარიშო წლის მსგავსად, კვლავ აქტუალური იყო შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების შელახვის შემთხვევები, ასევე, ადმინისტრაციულ პატიმრობაში მყოფი პირებისათვის არაადამიანური და ღირსების შემლახველი პირობების არსებობის ფაქტები სასჯელის მოხდის ადგილებში.

სტრატეგიული სამართალწარმოების იურისტები კვლავ აგრძელებენ მუშაობას საქმეებზე, რომლებიც შეეხება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევის ფაქტებს. ამ მხრივ, ყურადსაღები იყო ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე საკუთრების უფლების დარღვევისა და თავისუფლების უკანონო აღკვეთის შემთხვევები.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩატარებული სამუშაოები:

- **კონსულტაციები**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვის პროცედურებსა და ევროპული კონვენციის ცალკეული მუხლების დარღვევებთან დაკავშირებით, საიამ კონსულტაცია გაუწია 230 მოქალაქეს.

- **სამართალწარმოება**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ევროპის სასამართლოში საიას მიერ შეტანილ იქნა 17 განაცხადი.

1. ასათიანი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (საქმე №42174/11)

საქმე შეეხება 2011 წლის 3 იანვარს გმირთა მოედანზე სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ ომის ვეტერანების აქციის უკანონოდ დაშლის ფაქტს, რომლის დროსაც აქციის სამ მონაწილეს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. ასევე, 10 მონაწილე უკანონო იქნა დაკავებული, რომლებსაც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, 400 ლარიანი ჯარიმა შეეფარდათ. მიუხედავად იმისა, რომ საქმეზე არსებობდა არაერთი მტკიცებულება (ვიდეო მასალის ჩათვლით), რომ განმცხადებლების მიერ აღვილი არ ჰქონია კანონის დარღვევას, ეროვნული სასამართლოების მიერ გადაწყვეტილება მათ საწინააღმდეგოდ იქნა გამოტანილი. ევროპის სასამართლოში შეტანილ განაცხადში საუბარია განმცხადებლების მიმართ კონვენციის მე-3 (წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-5 (პირადი ხელშეუხებლობის უფლება), მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-11 (შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება) მუხლების დარღვევაზე.

2. ჭიქაშვილი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

საქმე შეეხება 2011 წლის 25 მარტს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამინისტროს წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის ძალისმიერი მეთოდებით დაშლას სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან. აქციის შედეგად დაკავებულ იქნენ განმცხადებლები სამართალდამცავებისათვის წინააღმდეგობის გაწევის მოტივით, თუმცა, არსებული ვიდეომასალა ადასტურებს, რომ წინააღმდეგობის გაწევას სინამდვილეში აღვილი არ ჰქონია – განმცხადებლების დაკავება მოხდა მას შემდეგ, რაც ისინი დაემორჩილნენ პოლიციელთა მოთხოვნას და გზის სავალი ნაწილი გაათავისუფლეს. საქმეში ასევე საუბარია ადმინისტრაციული პატიმრობის დროს განმცხადებლების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, დაკავების პირობების გამო. ევროპის სასამართლოში განაცხადი შეტანილია კონვენციის მე-3 (წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-5 (პირადი ხელშეუხებლობის უფლება), მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-11 (შეკრების და მანიფესტაციის უფლება) მუხლების დარღვევის დადგენის მოთხოვნით.

3. მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ (საქმე №18865/11)

საქმე შეეხება ჟურნალისტ ნ. მიქიაშვილისათვის სასჯელაღსრულების დაწესებულებისა და დეპარტამენტის მიერ ინფორმაციის მიუწოდებლობას იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდიდა სასჯელს გ.მარაძის მკვლელობისთვის მსჯავრდებული პირი. ჟურნალისტს აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი უთხრეს ეროვნულმა სასამართლოებმა. ჟურნალისტი ამტკიცებს, რომ ზემოხსენებული ინფორმაცია მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი იყო მისი მოთხოვნის პერიოდში, რადგან არსებობდა

სხვადასხვა ვერსია მკვლევლობაში მსჯავრდებული პირის სავარაუდო გათავისუფლების შესახებ. თუმცა, სასჯელაღსრულების ორგანოებმა და შემდგომში ეროვნულმა სასამართლოებმა ცალსახად მიიჩნიეს, რომ აღნიშნული განეკუთვნებოდა პერსონალურ ინფორმაციას და, შესაბამისად, ჟურნალისტს არ ჰქონდა მისი მიღების უფლება. სასამართლოებმა ისე გამოიტანეს გადაწყვეტილებები, რომ საქმეში საზოგადოებრივი ინტერესის არსებობაზე არც კი უმსჯელიათ. განაცხადში საუბარია კონვენციის მე-10 მუხლის (გამოხატვის თავისუფლება) დარღვევაზე, რადგან განმცხადებელს არ მიეცა შესაძლებლობა, მისი საქმიანობის ფარგლებში, მიეღო და გაეგრძელებინა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ინფორმაცია.

4. რამალობელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (საქმე №41192/11)

საქმე შეეხება სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ჟურნალისტური საქმიანობისათვის ხელშეშლას. განმცხადებლები, გაზეთ „ბათუმელების“ ჟურნალისტები, სარფის საბაჟოს კონტროლის ზონაში, კერძოდ, განბაჟების დარბაზში, აწარმოებდნენ იმპორტიორთა გამოკითხვას, თუ რამდენად იყვნენ ისინი კმაყოფილი განბაჟების პროცედურებით, ხომ არ ჰქონდა ადგილი მათ მიმართ კანონის მოთხოვნების დარღვევას და ახდენდნენ მათ აუდიო ჩაწერას. თუმცა, საბაჟოს თანამშრომლებმა ჟურნალისტებს საქმიანობის დასრულება არ აცალეს, დარბაზიდან გააძევეს და საბაჟო ორგანოს წარმომადგენლის მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისათვის, სამართალდარღვევის ოქმის საფუძველზე, თითოეულს 1000 ლარიანი ჯარიმა დააკისრეს. საქმის სასამართლო განხილვა ჟურნალისტების საწინააღმდეგოდ დასრულდა. ევროპის სასამართლოში წარდგენილ განაცხადში საუბარია სახელმწიფოს მხრიდან ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელების ხელშეშლასა და ჟურნალისტების წინააღმდეგ გამოყენებული სანქციების არაპროპორციულობაზე, რაც არღვევს ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულ უფლებას მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხებზე ინფორმაციის მიღებისა და გავრცელების შესახებ.

5. სტუდია „რეპორტიორი“ და ვ. კომახიძე საქართველოს წინააღმდეგ

საქმე შეეხება ჟურნალისტისათვის საჯარო ინტერესის მქონე ინფორმაციის მოპოვებაზე უარის თქმას სახელმწიფოს მიერ. კერძოდ, სტუდია რეპორტიორი იუსტიციის სამინისტროსგან ითხოვდა ინფორმაციას 2004 წლიდან განცხადების წარდგენის დღემდე (2009წ.) სამინისტროს თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიების შესახებ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ არეგულირებს პრემიების გაცემის წესსა და ოდენობას. განმცხადებლის აზრით, საზოგადოებას უფლება აქვს იცოდეს, თუ რა თანხები იხარჯება სახელმწიფო ბიუჯეტიდან სახელმწიფო თანამდებობის პირების პრემიებზე. თუმცა, ეროვნული სასამართლოების განმარტებით, პრემია, თანამდებობრივი სარგოსგან განსხვავებით, წარმოადგენს პირად საიდუმლოებას მიკუთვნებულ პერსონალურ მონაცემს, რომლის შესაძენე პირისთვის გაცემის მიზნით, საჭიროა თანამდებობის პირთა წერილობითი თანხმობა. ევროპის სასამართლოში განაცხადი წარდგენილია კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევის თაობაზე.

6. იმნაძე საქართველოს წინააღმდეგ (საქმე №15565/11)

საქმე შეეხება, „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, საკუთრების უფლების აღიარების საკითხს. მოცემულ საქმეში არსებითია საკუთრების უფლების აღიარების კომისიისა და, შემდგომში, ეროვნული სასამართლოების მიერ კანონის უკუძალის პრინციპის არასწორად გამოყენება, რის გამოც, განმცხადებელს დაერღვა საკუთრების უფლება მიწის ნაკვეთზე, რომელსაც ის 20 წელზე მეტი ხნის მანძილზე ფლობდა. განაცხადში საუბარია ევროპის ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევაზე (საკუთრების უფლება), ასევე, კონვენციის მე-6 მუხლის დარღვევაზე, დაუსაბუთებელი სასამართლო გადაწყვეტილებისა და სამართლებრივი განსაზღვრულობის პრინციპის დარღვევის გამო.

7. აქუბარდია საქართველოს წინააღმდეგ

მოცემულ საქმეში განმცხადებელი სოსო აქუბარდია ამტკიცებს, რომ მის მიმართ დაირღვა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლი (საკუთრების უფლება) და კონვენციის მე-6 მუხლი (სამართლიანი სასამართლოს უფლება). 2009 წლის 6 დეკემბერს სახელმწიფომ თავის სახელზე დაირეგისტრირა განმცხადებლის კუთვნილი მიწის ნაკვეთი (მდებარე ზუგდიდის რაიონის სოფელ ერგეტაში: 47,92 ჰა), შემდგომში კი გაასხვისა ინვესტორზე – შპს ანაკლია პორტზე, რითაც უგულებელყო სოსო აქუბარდიას მიერ ამავე ქონებაზე ჯერ კიდევ 2007 წლის 29 ნოემბერს კანონით დადგენილი წესით დარეგისტრირებული საკუთრების უფლება.

2009 წლის 6 დეკემბრამდე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს განმცხადებლის სახელზე გაცემული ჰქონდა არაერთი ამონაწერი, სადაც ქონების ფართი დაზუსტებულია. თუმცა, უკვე შემდგომში, სასამართლო განხილვის დროს, საჯარო რეესტრი ამტკიცებდა, რომ განმცხადებლის ქონება იყო დაზუსტებული, ვინაიდან მას წარმოდგენილი ჰქონდა საკადასტრო აზომებით ნახაზის ქაღალდის და არა ელექტრონული ვერსია. ამ საფუძველით, საჯარო რეესტრი მიუთითებდა, რომ მეთოდოლოგიურად შეუძლებელი იყო საკადასტრო მონაცემების ქაღალდის ვერსიის შედარება ელექტრონულთან, რომელიც სახელმწიფომ წარმოადგინა. საჯარო რეესტრის ამგვარი განმარტება მიუთითებს ქვეყანაში განმცხადებლის და სხვა მსგავს მდგომარეობაში მყოფი მესაკუთრეების უფლებების დაცვის შესაბამისი მექანიზმების არარსებობაზე.

8. ჭუმბურიძე საქართველოს წინააღმდეგ (საქმე №68101/10)

საქმე შეეხება ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება) და პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის (საკუთრების უფლება) დარღვევას. კერძოდ, ეროვნულმა სასამართლოებმა განმცხადებლის კუთვნილი საწარმოს – შპს „მეგობრობის“ – მიერ სარემონტო-სამშენებლო საქმიანობისათვის 119 353 ლარის ხარჯების გაღების საფუძველზე სახელმწიფოს უსაფუძველო გამდიდრების ფაქტზე წამოწეული სამოქალაქო სამართლის დავა განიხილეს პროცესუალური კანონმდებლობის უხეში და სერიოზული დარღვევებით. ამასთან, განმცხადებლის საქმის განხილვის დროს სასამართლოებმა დაარღვიეს მე-6 მუხლით დაცული სამართლებრივი განსაზღვრულობის, მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, გონივრულ ვადაში საქმის განხილვისა და, ასევე, დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მოთხოვნები. განმცხადებლის საქმეში მონაწილე რამდენიმე მოსამართლის, მათ შორის, ნ. კვანტალიანის (ამჟამად უზენაესი სასამართლოს მოსამართლე), ნ. ზარქუას (ამჟამად საქალაქო სასამართლოს მოსამართლე), ლ. მსხილაძის (ყოფილი მოსამართლე), შ. კვარაცხელიას (ყოფილი მოსამართლე) მიმართ მიმდინარეობდა დისციპლინური და სისხლისსამართლებრივი წარმოებები. აღნიშნულ საქმეში პარლამენტის კორუფციასთან ბრძოლის დროებითმა საგამოძიებო კომისიამ ასევე დაადგინა 16 მოსამართლის დანაშაულებრივი ქმედებები, თუმცა, საბოლოოდ, ამ გადაწყვეტილებებსა და შეფასებებს რაიმე ფაქტობრივი შედეგი არ მოჰყოლია.

9. გვარაძე საქართველოს წინააღმდეგ (საქმე №7025/11)

საქმე შეეხება საწარმოო ტრავმის გამო განმცხადებლისთვის დანიშნული ზიანის ანაზღაურების ყოველთვიური სარჩოს გაცემის შეწყვეტას სახელმწიფოს მიერ, ზიანის ანაზღაურების ახალი წესების საფუძველზე. განმცხადებელმა ევროპულ სასამართლოს მიმართა კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის დარღვევის დადგენის მოთხოვნით.

10. კაპანაძე საქართველოს წინააღმდეგ (საქმე №29460/11)

საქმე შეეხება განმცხადებლის კოტე კაპანაძის უკანონო მსჯავრდებას, საჯარაულოდ, მისი და მისი ძმის პოლიტიკური საქმიანობის გამო. მოცემულ საქმეში განმცხადებელი ამტკიცებს, რომ ის გახდა

თვითნებური ბრალდების მსხვერპლი, რადგან დანაშაული, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება, კანონითა და შესაბამისი ადმინისტრაციული და სასამართლო პრაქტიკით არ იყო განსაზღვრული. გამოძიების პროცესში ამკარად გამოიკვეთა შერჩევითი დამოკიდებულება განმცხადებლის მიმართ და სასამართლოში საქმის განხილვა წარიმართა მხარეთა თანასწორობის მოთხოვნის დარღვევით. ევროპის სასამართლოში წარდგენილ განაცხადში საუბარია კონვენციის მე-7 (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე) და მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება) მუხლების სავარაუდო დარღვევაზე, ასევე კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევაზე მე-7 და მე-6 მუხლებთან მიმართებით.

11. კალანდია საქართველოს წინააღმდეგ (საქმე №57255/10)

განმცხადებელი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (განზრახ საქმე შეეხება თენგიზ კალანდიას მიმართ არსებულ სისხლის სამართლის საქმეს. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 7 ოქტომბრის გამამტყუნებელი განაჩენის მიხედვით, განმცხადებელმა ჩაიდინა დანაშაული, რაც გულისხმობს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნასა და შენახვას. სასამართლომ განმცხადებელს მიუსაჯა 18 წლით თავისუფლების აღკვეთა. განმცხადებელი ეროვნულ სასამართლოებში ამტკიცებდა, რომ მას აღნიშნული დანაშაული არ ჩაუდენია და ნარკოტიკული საშუალება მას პოლიციელებმა ჩაუდეს პირადი ჩხრეკის დროს. იგი აცხადებს, რომ მისი დაკავება, რეალურად, მოხდა 2009 წლის აპრილში, პოლიტიკური ოპოზიციის მიერ დაგეგმილი აქციების ფონზე, ერთ-ერთი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლიდერთან ვლადიმერ ვახანიასთან შეგობრობის გამო.

განმცხადებლის პირადი ჩხრეკა სასამართლო ბრძანების გარეშე ჩატარდა მაშინ, როცა გამოძიებას ჰქონდა თითქმის 9 საათი იმისთვის, რომ სასამართლოსგან მიეღო სანქცია პირადი ჩხრეკის ჩატარების თაობაზე. ჩხრეკის დროს განმცხადებელს არ მიეცა დამსწრეების მოწვევის საშუალება. საქმეში ბრალდების მტკიცებულებას წარმოადგენს პოლიციელების ჩვენებები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ მისი დაკავებისა და პირადი ჩხრეკის პროცესში და რომლებიც ამავე დროს იძიებდნენ მის სისხლის სამართლის საქმეს. მათ მიერ სასამართლოში მიცემულ ჩვენებებში არსებობს წინააღმდეგობები საქმესთან დაკავშირებულ არსებით გარემოებებთან მიმართებით. ევროპის სასამართლოში წარდგენილ განაცხადში საუბარია, რომ განმცხადებლის საქმეზე სასამართლო განხილვა მთლიანობაში იყო უსამართლო, რის გამოც მის მიმართ დაირღვა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი (სამართლიანი სასამართლოს უფლება), ასევე, კონვენციის მე-7 (არავითარი სასჯელი კანონის გარეშე), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) და მე-13 (სამართლიანი დაცვის ეფექტური საშუალებები) მუხლების დარღვევა.

12. გიორგი გეგორქიანი საქართველოს წინააღმდეგ

საქმე შეეხება გიორგი გეგორქიანის წინააღმდეგ არსებულ სისხლის სამართლის საქმეს. განმცხადებელი მსჯავრდებული იქნა ქურდობისა და სხვისი ნივთის დაზიანება/განადგურებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და დანაშაულთა ერთობლიობით სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლისა და 9 თვის ვადით. ეროვნულ დონეზე გამოძიება და სასამართლო განხილვა განმცხადებლის მიმართ ჩატარდა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცული მოთხოვნების დარღვევით. განაჩენი არსებითად ეფუძნება დაზარალებულთა და მოწმეთა ჩვენებებს, რომლებიც ურთიერთგამომრიცხავია და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს არსებითად ეწინააღმდეგება. გარდა ამისა, განმცხადებელი აცხადებს, რომ სასამართლო განხილვის პროცესში, კერძოდ, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების გამოკვლევის დროს დაირღვა მხარეთა თანასწორობის პრინციპი.

2008 წლის აგვისტოს კონფლიქტთან დაკავშირებული საქმეები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რუსეთის სამართლებრივი ინიციატივისა (RJI) და საიას ერთობლივი პროექტის ფარგლებში კვლავ გრძელდებოდა მუშაობა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაზარალებულ პირთა საქმეებზე. ევროპის სასამართლოში საქართველოს წინააღმდეგ გაგზავნილ რამდენიმე საქმეზე (სიპოლსი საქართველოს წინააღმდეგ – საქმე №8336/09, ბეკოევა საქართველოს წინააღმდეგ – საქმე №48347/08, ტეხოვა საქართველოს წინააღმდეგ – საქმე №50669/08) უკვე მიმდინარეობს კომუნიკაცია მოპასუხე სახელმწიფოსთან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განსაკუთრებით აქტუალური გახდა ადამიანის უფლებათა დაცვის პრობლემა ე.წ. საქართველო-სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიებზე. სტრატეგიული სამართალწარმოების ინტერესის სფეროში ხვდება საქმეები, რომლებიც თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და საკუთრების უფლების დარღვევის ფაქტებს შეეხება. ამ კუთხით, ევროპის სასამართლოში უკვე რამდენიმე განაცხადია გაგზავნილი.

13. კორაშვილი საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ (საქმე №17442/11)

განმცხადებელი დაკავებული იქნა რუსი სამხედრო პირების პიერ, როდესაც ის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრისპირა სოფელ დვანში საკუთარ ეზოში იმყოფებოდა. ცხინვალში რამდენიმე დღიანი პატიმრობის პერიოდში მას არაერთხელ გაუძეორეს, რომ აღარასოდეს მისულიყო საკუთარ კარ-მიდამოში, ვინაიდან ის უკვე სამხრეთ ოსეთის ტერიტორიას წარმოადგენდა. განაცხადში საუბარია კონვენციის მე-3 (წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-5 (პირადი ხელშეუხებლობის უფლება), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-13 (სამართლიანი დაცვის ეფექტური საშუალებები), მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) და პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლის (საკუთრების უფლება) დარღვევაზე. განაცხადი წარდგენილია ორი მოპასუხე სახელმწიფოს წინააღმდეგ, რადგან, ერთი მხრივ, რუსეთის ფედერაციის მხრიდან პირდაპირ მოხდა განმცხადებლის უფლებების დარღვევა, ხოლო, მეორე მხრივ, საქართველოს მხრიდან არ იქნა მიღებული ყველა საჭირო ზომა, რათა ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე დაცული ყოფილიყო საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის, განმცხადებლის უფლებები.

14. ბიგანიშვილი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (საქმე №59827/10)

საქმე შეეხება 4 ეთნიკურად ქართველი პირის დაკავებას რუსი და ოსი შეიარაღებული პირების მიერ და შემდგომ მათ უკანონო პატიმრობას ცხინვალის ციხეში. ცხინვალში მათ საზღვრის უკანონო გადაკვეთას ედავებოდნენ. განმცხადებლები გათავისუფლებულ იქნენ ევროპის ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ჩარევის შედეგად 2010 წლის მაისში. განაცხადში საუბარია კონვენციის მე-3 (წამებისა და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-5 (პირადი ხელშეუხებლობის უფლება), მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-13 (სამართლიანი დაცვის ეფექტური საშუალებები) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევაზე.

15. იკაევი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ

საქმე შეეხება რ. იკაევის გაუჩინარების ფაქტს 2008 წლის აგვისტოში ქართველი სამხედროების მიერ ერთ-ერთ ოსურ სოფელში მისი დაკავების შემდეგ, ასევე, ს. ლოხოვისა და ა. ბაზაევის უკანონო დაკავებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტებს. საქმეში მოიპოვება ვიდეოჩანაწერი, სადაც ნათლად ჩანს, რომ რ. იკაევი, მეორე, ასევე ოსი ეროვნების პირთან ერთად, დაკავებული ჰყავთ ქართველ სამხედროებს. საქმეზე მოპოვებული იქნა მოწმეთა ჩვენებები, რომლებიც მიუთითებენ, რომ რ. იკაევი დაკავებული იყო ქართულ სამხედრო ბაზაზე, რის შემდეგაც იგი არავის უნახავს. საიას მიერ

წარდგენილი საჩივრების შედეგად საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაიწყო გამოძიება რ. იკაევის გაუჩინარებისა და, ასევე, ა. ბაზაევისა და ს. ლოხოვის მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე, თუმცა, ევროპის სასამართლოში წარდგენილ განაცხადში ვამტკიცებთ, რომ მთელი რიგი გარემოებების გათვალისწინებით, გამოძიება არაეფექტურად მიმდინარეობს. განაცხადში საუბარია კონვენციის მე-2 (სიცოცხლის უფლება), მე-3 (წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა) და მე-5 (პირადი ხელშეუხებლობის უფლება) მუხლების დარღვევაზე როგორც განმცხადებლების, ასევე, რ. იკაევის მეუღლისა და დედის მიმართ.

16. მიდელაშვილი რუსეთის წინააღმდეგ

ჯ. მიდელაშვილი დღემდე უკანონო პატიმრობაში იმყოფება ცხინვალის ციხეში. იგი დაკავებული იქნა 2009 წლის შემოდგომაზე ახალგორში ეთნიკურად ოსი პირების მიერ. ჯ. მიდელაშვილი 90-იან წლებში ახალგორის პოლიციის უფროსი იყო და ცხინვალში მას ბრალად სდებენ იმ პერიოდში ეთნიკურად ოსი პირების გატაცებასა და მკვლელობაში მონაწილეობას. თუმცა, აღნიშნული დანაშაულისათვის უკვე მსჯავრდებული არიან და დღესაც სასჯელს იხდიან სხვა პირები. ევროპის სასამართლოში წარდგენილ განაცხადში საუბარია კონვენციის მე-3 (წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-5 (პირადი ხელშეუხებლობის უფლება), მე-6 (სამართლიანი სასამართლო), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-13 (სამართლიანი დაცვის ეფექტური საშუალებები) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევაზე.

17. ახვლედიანი და თაყაძეები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ

ახვლედიანი დაკავებული იქნა საქართველო-სამხრეთ ოსეთის ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ოსი და რუსი სამხედროების მიერ. საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისათვის მ. ახვლედიანს სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო სასამართლოებმა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მან სასჯელი ცხინვალის ციხეში მოიხადა.

ვ. და ბ. თაყაძეები ოსი და რუსი სამხედროების მიერ ასევე დაკავებულ იქნენ ე.წ. ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიაზე ტყეში ნადირობის დროს და წელიწადზე მეტი გაატარეს ცხინვალის ციხეში. თავდაპირველად მათ იარაღის უკანონო ტარებას და საზღვრის უკანონო გადაკვეთას ედავებოდნენ, თუმცა, საბოლოოდ, დე-ფაქტო სასამართლოების მიერ გასამართლებული იქნენ მხოლოდ საზღვრის უკანონო გადაკვეთისათვის. სამივე განმცხადებელი გაათავისუფლეს 2011 წლის თებერვალში. ევროპის სასამართლოში წარდგენილ განაცხადში საუბარია კონვენციის მე-3 (წამების და არაადამიანური მოპყრობის აკრძალვა), მე-5 (პირადი ხელშეუხებლობის უფლება), მე-6 (სამართლიანი სასამართლოს უფლება), მე-8 (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება), მე-13 (სამართლიანი დაცვის ეფექტური საშუალებები) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევაზე.

- წარმატებული საქმეები

ევროპის სასამართლომ 2011 წლის 15 თებერვალს გამოიტანა გადაწყვეტილება საიას მიერ წარმოებულ საქმეზე – ცინცაბაძე საქართველოს წინააღმდეგ (№35403/06).

სასამართლომ დადგინილად ცნო მოპასუხე სახელმწიფოს მიერ ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-2 მუხლის (სიცოცხლის უფლება) დარღვევა, ვინაიდან 2005 წელს, განმცხადებლის შვილის – ზურაბ ცინცაბაძის ციხეში გარდაცვალების ფაქტზე არ ჩატარდა დამოუკიდებელი, ობიექტური და ეფექტური გამოძიება.

გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს მთავრობას განმცხადებლის სასარგებლოდ დაეკისრა:

მორალური ზიანისათვის – 15000 ევროს, ხოლო, საქმის წარმოების ხარჯებისათვის – 4000 ევროს გადახდა.

ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ ზ. ცინცაბაძის გარდაცვალების საქმეზე გამოძიება განაზღვრა.

- სტრატეგიული სამართალწარმოების იურისტების რეგიონული შეხვედრა

2011 წლის მაისში ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრისა (EHRAC) და საიას მიერ ორგანიზებულ იქნა სტრატეგიული სამართალწარმოების იურისტების რეგიონული შეხვედრა. შეხვედრა აერთიანებდა საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის, მოლდოვას და დიდი ბრიტანეთის არასამთავრობო ორგანიზაციების სტრატეგიული სამართალწარმოების 50-მდე იურისტს და მიზნად ისახავდა გამოცდილების გაზიარებას, მსგავს (თუ განსხვავებულ) პრობლემებზე აზრთა ურთიერთგაცვლას და კავშირების დამყარებას კოლეგებს შორის.

საკონსტიტუციო სამართალწარმოება

საანგარიშო პერიოდში საიამ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა 3 კონსტიტუციური სარჩელით. ამას ემატება გასულ საანგარიშო პერიოდში შეტანილი კიდევ ერთი სარჩელი, რომელიც სასამართლოს წარმოებაშია. ანუ, ჯამურად, ამ ეტაპისთვის საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაში აქვს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის 4 სარჩელი.



საანგარიშო პერიოდში შეტანილი საკონსტიტუციო სარჩელები

1. დავით მიხეილ შუბლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

2011 წლის 6 მაისს საიამ მოქალაქე დავით მიხეილ შუბლაძის სახელით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს. საია საკონსტიტუციო სასამართლოსაგან ითხოვს „პოლიციის შესახებ“ კანონის 91-ე (შეჩერება და ზედაპირული შემოწმება) მუხლის ძალადაკარგულად ცნობას, კონსტიტუციის მე-18 (თავისუფლების და ხელშეუხებლობის უფლება) და მე-20 (პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა) მუხლებთან წინააღმდეგობის გამო.

გასაჩივრებელი ნორმის არაკონსტიტუციურობა მდგომარეობს იმაში, რომ პოლიციელს ეძლევა ადამიანის გაჩერების შესაძლებლობა დანაშაულის ჩადენა-არჩადენის ეჭვის დადასტურების ან უარყოფის მიზნით, თუმცა, კანონში დაზუსტებული არ არის, თუ რა საშუალებით ადგენს პოლიციელი პირის ბრალეულობა-უდანაშაულობას. ამასთან, აღნიშნული პირი არ სარგებლობს არავითარი საპროცესო უფლებით. კანონში,

ასევე, არ ჩანს, თუ რას ნიშნავს გონივრული ეჭვი, რით განსხვავდება ეს უკანასკნელი დასაბუთებული ვარაუდისაგან, რაც სისხლის საპროცესო კოდექსით ადამიანის დაკავების ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენს. პოლიციელს არ ევალება, პირს განუმარტოს, თუ კონკრეტულად რომელი დანაშაულის ჩადენის გამო მოხდა მისი შეჩერება. კანონიდან არც ის ჩანს, თუ როგორ ტარდება ზედაპირული შემოწმება და რით განსხვავდება ეს უკანასკნელი ჩხრეკისაგან. რაც მთავარია, არ ხდება შეჩერებისა და ზედაპირული შემოწმების დოკუმენტირება, რაც შეუძლებელს ხდის სასამართლოში პოლიციის მიერ ჩადენილი უკანონო და დაუსაბუთებელი ქმედების მტკიცების შესაძლებლობას.

2. მაია ასაკაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საანგარიშო პერიოდში საიამ, ერთ-ერთი ქმედუნარო პირის მეურვის სახელით, საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა სამოქალაქო კოდექსისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მთელი რიგი ნორმები, რომლებიც ეხება გონებრივი ჩამორჩენილობის საფუძველზე ქმედუნაროდ ცნობილი პირის სამართლებრივ მდგომარეობას.

კონსტიტუციური სარჩელით გასაჩივრებულია, ზოგადად, ქართული კანონმდებლობის მიდგომა ქმედუნარო პირებთან მიმართებით. ქმედუნარობის ქართული მოდელის არსი გულისხმობს იმას, რომ მისი დადგენის მომენტიდან, გონებრივი ჩამორჩენილობის მქონე პირი კარგავს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობას. ქმედუნაროდ ცნობილ პირს ენიშნება მეურვე, რომელიც ქმედუნაროსაგან დამოუკიდებლად გადაწყვეტს მასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს.

ქმედუნარობის დასადგენად ექსპერტები ახდენენ ზოგადი ხასიათის შეფასებას: „ადამიანს არ შეუძლია გააცნობიეროს თავისი ქმედების მნიშვნელობა“, თუმცა, კონკრეტულად რომელი ქმედების (ნივთის ყიდვა, გაყიდვა, თხოვება, ჩუქება, ოჯახის შექმნა) მნიშვნელობის გაცნობიერება არ შეუძლია ქმედუნარო პირს, ამაზე ექსპერტები პასუხს არ სცემენ. ქართული კანონმდებლობა ახდენს არა ქმედუნარიანობის ფუნქციურ შეფასებას (რაც მიღებულია დასავლეთის ქვეყნებში), არამედ ამკვიდრებს ქმედუნარიანობის ინსტიტუციურ მიდგომას, რაც საკმაოდ მოძველებულია.

3. მაია ხუციშვილი და საია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საიამ და საიას იურისტმა მაია ხუციშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრეს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი. აღნიშნული მუხლის თანახმად, ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დაწყებისა და დამთავრების ვადები წესრიგდება უწყებრივი ნორმატიული აქტით. ეს უკანასკნელი, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წარმოადგენს სახელმწიფო საიდუმლოებას. გამომდინარე აქედან, იმ ნორმატიულ აქტს, რომელიც განსაზღვრავს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის დაწყებისა და დამთავრების ვადას, სახელმწიფო საიდუმლოების გრიფი ადევს.

ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ვადების გასაიდუმლოება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის მე-16, მე-20 და 41-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადამიანის პირადი ცხოვრებისა და პირადი შეტყობინების ხელშეუხებლობის უფლებას.

4. თამარ ჩუგოშვილი და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ

საანგარიშო პერიოდში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს კონსტიტუციური სარჩელით მიმართა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ და თამარ ჩუგოშვილმა. დავის საგანს წარმოადგენს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „მ“ ქვეპუნქტი, ასევე, ამავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

2010 წლის 24 სექტემბერს „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატა ახალი „მ“ ქვეპუნქტი. ეს უკანასკნელი უშვებს დახურულ ინტერნეტური თვითობაზე დაკვირვებას სასამართლოს თანხმობის გარეშე. იმავე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები დახურულ ინტერნეტური თვითობაზე დაკვირვებისათვის პირდაპირ გამოიცხადებენ სასამართლო კონტროლის შესაძლებლობას.

მიგვაჩნია, რომ გასაჩივრებული ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლს, რომელიც იცავს პრივატულ სფეროში სიტყვისა და აზრის თავისუფლებას, ასევე მე-20 მუხლს, რომელიც კრძალავს ადამიანის პირად ცხოვრებაში ჩარევას სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ანდა უშვებს ასეთ ჩარევას გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში.

წარმატებული საქმე

საანგარიშო პერიოდში, საიას კონსტიტუციური სარჩელის საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო განსაზღვრული სახელმწიფო დაწესებულებებიდან 20 მეტრის რადიუსში შეკრებისა და მანიფესტაციების ჩატარების ბლანკეტური აკრძალვა. კერძოდ, საქმეზე – *საია, დარი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ* – საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის გადაწყვეტილებით, საიას მოთხოვნები ნაწილობრივ დააკმაყოფილა.

საკონსტიტუციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საიას იურისტების მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, რომ შენობის შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში დაწესებული აკრძალვა კონსტიტუციას არ შეესაბამება, ვინაიდან, რიგ შემთხვევებში, ის შეკრების და მანიფესტაციის გამართვას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის. შედეგად, საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო დაწესებულების (მათ შორის პარლამენტის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობები) შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში საპროტესტო აქციის ჩატარების აკრძალვა.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა „შეკრებისა და მანიფესტაციის შესახებ“ კანონის მე-111 მუხლის ის დებულებები, რომლებიც საპროტესტო აქციის მცირერიცხოვან მონაწილეებს, წინასწარი გაფრთხილების მიუხედავად, არ აძლევს უფლებას, მოახდინონ ტრანსპორტის სავალი ნაწილის ბლოკირება მთლიანად ან ნაწილობრივ. მიგვაჩნია, რომ ამ ნაწილში საკონსტიტუციო სასამართლოს მიდგომა მნიშვნელოვნად განსხვავდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლისაგან, რომელიც უფლებას აძლევს მცირერიცხოვან დემონსტრანტებს, შეაფერხონ ტრანსპორტის მოძრაობა გონივრული ვადით.

საკონსტიტუციო სასამართლომ არაკონსტიტუციურად არ მიიჩნია ის ნორმა, რომელიც ითვალისწინებდა საპროტესტო აქციის დაშლას კონსტიტუციური წყობილების დამხობისა ან მისი ძალადობით შეცვლისაკენ მოწოდების შემთხვევაში, თუმცა, გაიზიარა საიას იურისტის არგუმენტი იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფოს მხოლოდ მაშინ ჰქონდა შეკრების თავისუფლებაში ჩარევის უფლება, თუკი ამგვარი მოწოდება შეიცავდა მყისიერ საფრთხეს. საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობამ აიძულა საქართველოს პარლამენტი, ცვლილება შეეტანა „შეკრებისა და მანიფესტაციების შესახებ“ კანონის მე-11 მუხლის პირველ პუნქტში, სადაც მოწოდების აკრძალვა დაუკავშირდა საფრთხის განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს.

საია საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნულ გადაწყვეტილებას, შეკრების თავისუფლების განმტკიცების თვალსაზრისით, წარმატებულ ნაბიჯად მიიჩნევს.

სტრატეგიული სამართალწარმოება ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით

საია გასულ საანგარიშო პერიოდშიც განაგრძობდა სტრატეგიულ სამართალწარმოებას ინფორმაციის თავისუფლებთან დაკავშირებით. სასამართლოში საქმეების განხილვამ დაადასტურა, რომ წინა წლებში არსებული ინფორმაციის დაუსაბუთებლად გასაიდუმლოების მანკიერი პრაქტიკა კვლავ უცვლელია. ადგილი აქვს დაუსაბუთებელი და არაერთგვაროვანი გადაწყვეტილებების მიღებას ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ დავებზე. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ადმინისტრაციული ორგანოებისათვის ქმედების განხორციელების დავალების (ინფორმაციის გაცემის დავალება) თაობაზე სარჩელების წარდგენის ვადის სასამართლოსეული არაერთგვაროვანი განმარტებები.

საანგარიშო პერიოდში, ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით, საჯარო დაწესებულებებში გაიგზავნა 160 განცხადება, აქედან:

- სრულად დაკმაყოფილდა – 101
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 16
- არ დაკმაყოფილდა – 36
- მიმდინარე – 7

საანგარიშო წლის განმავლობაში წარდგენილ იქნა 38 ადმინისტრაციული საჩივარი, რომელთაგან:




- სრულად დაკმაყოფილდა – 8
- არ დაკმაყოფილდა – 12
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 3
- შეწყდა წარმოება – 3
- განუხილველი დარჩა – 8
- მიმდინარე – 4

სასამართლოში წარდგენილ იქნა 36 სარჩელი. მათგან:


- სრულად დაკმაყოფილდა – 4
- ნაწილობრივ დაკმაყოფილდა – 1
- არ დაკმაყოფილდა – 17
- წარმოებაშია – 14

სტრატეგიული სამართალწარმოება ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის ფარგლებში


უკვე მეორე წელია საიას თბილისისა და 7 რეგიონულ ოფისში ფუნქციონირებს ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრი. ცენტრის საქმიანობა მოიცავს ჟურნალისტებისა და მედია საშუალებებისათვის სამართლებრივი კონსულტაციებისა და დანმარების გაწევას. ცენტრის იურისტები ნებისმიერ სამართლებრივ საკითხზე გასცემდნენ კონსულტაციას, ადგენდნენ სამართლებრივ დოკუმენტებს და წარმოადგენდნენ ინტერესებს ადმინისტრაციული თუ სასამართლო ორგანოების წინაშე.



საანგარიშო პერიოდში მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის ფარგლებში მომზადდა 117 სამართლებრივი დოკუმენტი და გაიცა 1136 კონსულტაცია. კონსულტაციების თემატიკა მრავალფეროვანი იყო და ინტერესის სფეროები პროცენტულად ასე გამოიყურებოდა:



ქვემოთ მოცემული დიაგრამა ასახავს სამართლებრივი კონსულტაციების გაცემის ტენდენციას რეგიონების მიხედვით:



2011 წლის 26 მაისის მოვლენების შეფასება და ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე რეაგირება

26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებულ უფლებათა დარღვევის ფაქტებზე საია აქტიურად მუშაობდა, რაც მოიცავდა როგორც ინდივიდუალურ საქმეებში დაზარალებულ პირთა იურიდიულ დახმარებას, ისე უფლებათა დარღვევის ფაქტებისა და ტენდენციების ანალიზსა და დოკუმენტირებას.

ინდივიდუალურ საქმეებში საიას ადვოკატების მიერ გაწეული იურიდიული დახმარება

როგორც ფაქტობრივი გარემოებების ანალიზი აჩვენებს, უშუალოდ აქციის დაშლის დროს დაპატიმრების ფაქტებს წინ უსწრებდა 26 მაისამდე იმ პირების მასობრივი დაკავების შემთხვევები, რომელთა დაკავება პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდებოდა მაისის თვეში მიმდინარე აქციების დროს მანიფესტაციის უფლებით სარგებლობას. დაპატიმრებები (როგორც ადმინისტრაციული, ისე სისხლის სამართლის წესით) გაგრძელდა 26 მაისის შემდეგაც.

საიას ადვოკატები იცავდნენ 26 მაისის აქციის დაშლის დროს სავარაუდოდ ადმინისტრაციული

სამართალდარღვევების ჩადენის გამო დაკავებული 15 პირის კანონიერ ინტერესებს. ამასთან, დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოინახულეს და იურიდიული დახმარება აღმოუჩინეს 141 პირს, რომლებიც მაისის თვეში მიმდინარე აქციებთან დაკავშირებით იყვნენ დაკავებული. საიას ადვოკატები მათ ეხმარებოდნენ ოჯახის წევრებთან კომუნიკაციაში, ასევე, სამედიცინო მომსახურების, პატიმრობის პირობებისა და არასათანადო მოპყრობის გამო გამოთქმული პრეტენზიების იურიდიულ გადაწყვეტაში. საიას ადვოკატები იცავდნენ, ასევე, 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის წესით დაკავებულ ათამდე პირს.



განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია 2011 წლის 26 მაისს მომიტინგეთა დაშლის დროს დაზარალებულ ჟურნალისტთა ინტერესების დაცვის საკითხი. ქართული მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრის მიერ მომზადებულ იქნა სამოქალაქო სარჩელი, რომლითაც 7 დაზარალებული ჟურნალისტი/მედიასამუშაოება ითხოვს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის დავალდებულებას/ქონებრივი ზიანის ანაზღაურებას და ზიანის ანაზღაურებას ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო. გარდა ამისა, ცენტრის მიერ მომზადდა განცხადებები ჟურნალისტურ საქმიანობაში ხელშეშლის ფაქტებთან დაკავშირებით.

26 მაისს აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებული ანგარიში

26 მაისს აქციის დაშლის დროს და მასთან კავშირში დაფიქსირებულ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებთან მიმართებით, საიაში შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელმაც 2011 წლის 6 ივნისს გამოაქვეყნა შუალედური ანგარიში და შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებს წარუდგინა. ჯგუფმა შემდგომ მუშაობა გააგრძელა ანგარიშის სრულყოფილ ვერსიაზე.

ინფორმაციის მოპოვება ხდებოდა სხვადასხვა წყაროს მეშვეობით. კერძოდ, სახელმწიფო უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის, მედია საშუალებებიდან მასალების (მათ შორის, ვიდეო და ფოტო მასალის) მიღების, ჟურნალისტების, მონიტორებისა და ადვოკატებისგან, ასევე, 70-მდე მოწმისა და დაზარალებული პირისაგან ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის გზით. რიგ საქმეებზე საჭირო გახდა ექსპერტიზის ჩატარება.



მოცემული ანგარიში ფარავს შემდეგ ძირითად თემებს: 1) 26 მაისამდე მასობრივი დაკავებების პრაქტიკის ანალიზი, რომელსაც კავშირი ჰქონდა მანიფესტაციის უფლებით სარგებლობასთან; 2) 26 მაისს აქციის დაშლის შესახებ ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილების ლეგიტიმურობის შეფასება; 3) პოლიციის მიერ აქციის დაშლის დროს გამოყენებული ტაქტიკისა და ტექნიკის ანალიზი; 4) აქციის დაშლის დროს პოლიციის მიერ არაპროპორციული ძალის გამოყენების ინდივიდუალურ შემთხვევათა ანალიზი; 5) სიცოცხლის ხელყოფის ფაქტების შეფასება, რომელიც დაფიქსირდა 26 მაისს აქციის დაშლის დროს ან/და სავარაუდოდ მასთან დაკავშირებით; 6) პოლიციის სამმართველოებსა და დროებითი მოთავსების იზოლატორებში აქციის დაშლის დროს დაკავებული პირების მიმართ არაადამიანური მოპყრობის ფაქტები; 7) დროებითი მოთავსების იზოლატორებში პატიმრობის პირობების შეფასება.

ამ ეტაპზე საბოლოო ანგარიშის პროექტი მზად არის და მიმდინარეობს ტექსტის სრულყოფა. ანგარიში უახლოეს მომავალში გამოქვეყნდება.

იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა სამართლებრივი დახმარება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ჩვენი იურიდიული დახმარების ცენტრები აქტიურად მუშაობდნენ დევნილთა პრობლემატიკაზე. გარდა დევნილთათვის სამართლებრივი დახმარების გაწვევისა, ეწყობოდა მათთვის საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები, ასევე, საია აქტიურად აწარმოებდა დევნილთა გამოსახლების პროცესის მონიტორინგს.

საანგარიშო პერიოდში იურიდიული დახმარების მიმართულებით განხორციელებული საქმიანობა რაოდენობრივად ასე გამოიყურება:

- ინდივიდუალური იურიდიული კონსულტაციები – 4787
- სამართლებრივი დოკუმენტები – 527
- საადვოკატო საქმეები – 51
- მობილური ვიზიტები – 166

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია განაგრძობდა დროებითი თავშესაფრებიდან და კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან დევნილთა გამოსახლების პროცესის მონიტორინგს. გასული ერთი წლის განმავლობაში განხორციელდა 7 ობიექტიდან დევნილთა გამოსახლების მონიტორინგი. შედეგებმა აჩვენა, რომ გამოსახლების პროცესი, რაც შემთხვევებში, გარკვეული ხარვეზებით ხასიათდებოდა. მაგალითად:

- ალტერნატიული საცხოვრებლის შეთავაზება ხდებოდა დევნილთა რეგისტრაციისა და დროებითი საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინების გარეშე;



- არსებობდა შეფერხებები საკომპენსაციო თანხების გაცემასთან დაკავშირებით;
- განხორციელდა კომპაქტური განსახლების ობიექტში რეგისტრირებული იმ ოჯახების გამოსახლება, რომლებთანაც გამოსახლების მომენტისათვის არ ყოფილა მიღწეული ნებაყოფლობითი შეთანხმება და ა.შ.

დევნილთა პრობლემატიკაზე მუშაობამ გამოავლინა რამდენიმე მასშტაბური პრობლემა დევნილთა მიმართ სახელმწიფო პოლიტიკაში. შესაბამისად, გადავწყვიტეთ გამოგვეცა ერთიანი დოკუმენტი, სადაც აღვწერდით მიმდინარე წელს გამოვლენილ ყველაზე პრობლემურ საკითხებს. კვლევაში – „სახელმწიფო პოლიტიკა დევნილთა მიმართ, ხარვეზების ანალიზი“ – მოხდა ოთხი ძირითადი პრობლემის გაანალიზება: დევნილის სტატუსის მინიჭება, საკომპენსაციო თანხებით დაკმაყოფილება, გამოსახლების/განსახლებისა და პრივატიზაციის პროცესებში გამოვლენილი ხარვეზები. კვლევა ასევე მოიცავს რეკომენდაციებს, რომლებიც საიამ არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავა.

შრომის უფლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიას იურიდიული დახმარების ცენტრები თბილისსა და რეგიონებში აქტიურად მუშაობდნენ შრომითი უფლებების დაცვის მიმართულებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ისეთ მოწყვლად ჯგუფებს, როგორებიც არიან ორსულები, არასრულწლოვნები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და საპენსიო ასაკს მიღწეული პირები, ასევე, იძულებით გადაადგილებული და სპეციფიკური პროფესიის მქონე მოქალაქეები (ექიმები, ჟურნალისტები, მასწავლებლები და ა.შ.).

აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებასთან გავაფორმეთ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც, საიამ უზრუნველყოფდა გაერთიანების წევრთა იურიდიულ დახმარებასაც.

საიას უფასო იურიდიული დახმარების ცენტრებმა, შრომით საკითხებთან დაკავშირებით, სულ გასცეს 2772 კონსულტაცია. კონსულტაციების სტატისტიკურ ანალიზზე დაყრდნობით, საიამ მოახდინა რამდენიმე პრობლემის იდენტიფიცირება:

- სამსახურიდან დათხოვნა წინასწარი გაფრთხილებისა და ახსნა-განმარტების გარეშე;
- სამუშაო სტაჟის დადგენა;
- ფასიანი შევებულების ანაზღაურება;
- სახელფასო დავალიანებების გადახდა.

პროექტის მიმდინარეობის განმავლობაში საიამ მოქალაქეთა ინტერესებს წარმოადგენდა 21 შრომით დავაში, აქედან, წარმატებით დასრულდა – 10, ხოლო წარუმატებლად – 4. 7 საქმეზე სასამართლო წარმოება კვლავაც მიმდინარეობს. დავების ძირითადი ნაწილი შეეხება სამსახურიდან დათხოვნის შემთხვევებში მოსამსახურის სამსახურში აღდგენასა და განაცდური ხელფასის ანაზღაურებას.



სასჯელადსრულების დანახვებზე განთავსებული პატიმრებისათვის განული დახმარება

მიმდინარე საანგარიშო წელს საიამ სახალხო დამცველთან ერთად დაიწყო ახალი ერთობლივი პროექტის განხორციელება, რომლის მიზანია პრევენციის ეროვნული მექანიზმის გაძლიერება და პატიმართა უფლებების დაცვა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში საიას საშუალება აქვს, ჩაერთოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფში და მონაწილეობა მიიღოს დროებითი მოთავსების იზოლაციებისა და სასჯელადსრულების დაწესებულებების მონიტორინგში. პროექტის ფარგლებში, წელს პირველად, მონიტორინგის ჯგუფს შეუერთდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ორი წარმომადგენელი, რომლებიც, ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად, უკვე მონაწილეობდნენ ზაფხულის მონიტორინგის მისიაში. მონიტორინგის სპეციალურ ფოკუსს არასათანადო მოპყრობა წარმოადგენდა.

პროექტმა საშუალება მოგვცა, უფრო მეტი პატიმრისთვის მიგვეწვდინა ხმა. შესაბამისად, გაიზარდა პატიმრებისა ან/და მათი ოჯახის წევრებისათვის გაწეული სამართლებრივი კონსულტაციების რაოდენობა და სხვადასხვა სამართლებრივი დოკუმენტის მომზადების სისშირე საიას თბილისისა და რეგიონულ ოფისებში. სახალხო დამცველის ოფისიდან საიამი ხდებოდა პატიმართა იმ განცხადებების გადამისამართება, რომლებზეც თავად სახალხო დამცველს საკუთარი მანდატის ფარგლებში არ შეეძლო რეაგირება და იურიდიული დახმარების გაწევა.



საანგარიშო პერიოდში საიას თბილისის და რეგიონულ ოფისებს ათობით პატიმარმა და მათი ოჯახის წევრმა მიმართა სამართლებრივი დახმარების გაწევის თხოვნით. უმეტეს შემთხვევებში, პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სასჯელადსრულების დაწესებულებებში არსებული ჯანდაცვის სისტემითა და მათთვის ჩატარებული მკურნალობით. საიას ადვოკატები, საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, გაცემდნენ კონსულტაციებს და ამზადებდნენ შუამდგომლობებსა თუ განცხადებებს სათანადო მკურნალობის, სასჯელადსრულების დაწესებულების შეცვლის, ავადმყოფობის გამო გათავისუფლებისა ან/და სამკურნალო დაწესებულებაში გადაყვანის თაობაზე. გარდა ამისა, ჩვენი ადვოკატები ეხმარებოდნენ პატიმრებს სასჯელისგან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლებისა და შეწყალების შუამდგომლობების მომზადებაში.

საანგარიშო პერიოდში თბილისის ოფისში აღირიცხა 174 პატიმრის წერილი. საპატიმრო დაწესებულებებში მოთავსებული პირების შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან კონსულტაციაზე მოსული მათი ოჯახის წევრებიც. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში თბილისის ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრის მიერ სასჯელადსრულების დაწესებულებაში მონახულეულ იქნა და კონსულტაცია გაეწია 192 პატიმარს. 58 პატიმარს წერილობით მივაწოდეთ პასუხები მათთვის საინტერესო კითხვებზე, 67 პატიმარს კი შევუდგინეთ სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტი – განცხადება, საკასაციო საჩივარი და ა.შ.

რაც შეეხება რეგიონებს, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიას რეგიონულ ოფისებში გაიცა 530 კონსულტაცია როგორც თავად სასჯელადსრულების დაწესებულებებში, ასევე პირადად და სატელეფონო გზით. ამასთან, მომზადდა 56 სხვადასხვა სახის სამართლებრივი დოკუმენტი – განცხადება, საკასაციო საჩივარი და ა.შ.

საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება

საია არა მარტო იცავს ადამიანის უფლებებს, არამედ უზრუნველყოფს მოქალაქეების აღჭურვას იმ სათანადო უნარებითა და ინფორმაციით, რაც აუცილებელია მათი უფლებების სრულყოფილად რეალიზაციისათვის. სწორედ ამიტომ, ჩვენს ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებად მიგვაჩნია საზოგადოებაში სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და კანონისადმი პატივისცემის დამკვიდრება.

საინფორმაციო სემინარები, შეხვედრები რეგიონებში, ავტო-ტურები

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისაკენ მიმართული კამპანია მოიცავდა სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას საჯარო მოხელეების, ადვოკატების, არასამთავრობო ორგანიზაციების, მედიის წარმომადგენელთათვის; გასვლით შეხვედრებს; საგაზეთო ჩანართების გამოქვეყნებას; ავტო ტურების მოწყობას.

საინფორმაციო სემინარებისა და შეხვედრების სტატისტიკა რეგიონებში:

	ქუთაისი	აჭარა	გორი	რუსთავი	ოზურგეთი	თელავი	დუშეთი	სულ
სემინარები, მრგვალი მაგიდები, შეხვედრები	62	81	276	21	22	6	12	480
მონაწილეთა რაოდენობა	1116	2553	5520	490	412	89	173	10353

სემინარებსა და მრგვალ მაგიდებზე განხილული იყო თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება, რაც საანგარიშო პერიოდში მიღებულ იქნა საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ, აგრეთვე, საზოგადოებისთვის აქტუალური შემდეგი თემები:

- განრიდებისა და მედიაციის პროგრამა
- პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირთათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის წესი
- ადმინისტრაციული პატიმრობა
- სიახლეები საგადასახადო კანონმდებლობაში
- ადმინისტრაციული სახდელები და მათი გასაჩივრების წესი
- საქართველოს რეგიონული განვითარების სახელმწიფო სტრატეგია
- სოციალური დახმარების სახელმწიფო პროგრამა
- 2011 წლის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები
- საბიუჯეტო პროცესები – ცვლილებები კანონმდებლობაში
- სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობა
- საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ საქართველოს კანონი
- სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის წესი
- კრუინგული კომპანიები და მეზღვაურთა სამართლებრივი დაცვის მექანიზმები
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის წესი და პირობები
- ნაფიც მსაჯულთა სასამართლო
- ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო მექანიზმები

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური გარანტიები
- ეროვნული უმცირესობების უფლებები და მათი ინტეგრაცია
- ქუჩების სახელდება და ნუმერაცია
- მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსი
- ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესი
- სიახლეები „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კანონში“
- შრომით-სამართლებრივი ურთიერთობები
- სიღარიბის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბენეფიციარების სოციალური დაცვის მექანიზმები, დახმარების დანიშვნა, გასაჩივრება

ტელე-რადიო გადაცემები

რეგიონებში აქტიურად ვთანამშრომლობდით ადგილობრივ რადიომაუწყებლებთან მოსახლეობასთან მაქსიმალური კომუნიკაციის მისაღწევად:

- რადიო „ჭერეთი“ – თემები:
 - პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირებისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის წესი და პირობები
 - ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცედურები
 - სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებასთან დაკავშირებული პრობლემები
 - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეგისტრაციის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის წესი და პირობები
- რადიო „თრიალეთი“ – თემები:
 - ადამიანის უფლებები საქართველოში
 - უძრავი ქონების რეგისტრაციის წესი და პირობები
 - დაკავებისა და ზედაპირული შემოწმების პროცედურა
 - როგორ დავიცვათ ჩვენი უფლებები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დროს
 - როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს
 - როგორ უნდა მიიღონ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულმა პირებმა ფულადი კომპენსაცია
 - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის თავისებურებანი
- რადიო „ძველი ქალაქი“ – თემები:
 - სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური გარანტიები
 - ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები
 - ნოვაციები საგადასახადო კანონმდებლობაში
 - ოჯახური ძალადობა და მისი რეგულირების სამართლებრივი მექანიზმები
 - შრომით-სამართლებრივი დავები
 - საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ
- ტელეკომპანია „TV 25“ – თემები:
 - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებანი
 - გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა
 - საბაჟო-საგადასახადო დარღვევები
 - საჯარო სკოლებში მანდატურის სამსახურისა და მათი უფლებამოსილების შესახებ
 - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვა

- გენდერი და შრომის კოდექსი
- საჯარო სკოლის მასწავლებლებთან შრომის ხელშეკრულების მოშლის კანონიერება
- გამოხატვის თავისუფლება
- პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირებისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის წესი და პირობები
- რელიგიის თავისუფლება
- ტელეკომპანიები: „გურჯაანი“, „გორდა“ და „თანამგზავრი“ – თემები:
 - სოციალური დახმარების დანიშვნა და მასთან დაკავშირებული პრობლემები
 - კახეთის რეგიონში არსებული ინფორმაციის საჯაროობის პრობლემები
 - ბავშვთა უფლებები
 - ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციები

საგაზეთო ჩანართები

საიას რეგიონული ოფისები აქტიურად აგრძელებდნენ თანამშრომლობას ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებთან. საანგარიშო პერიოდში დაიბეჭდა არაერთი სტატია მოსახლეობისათვის საინტერესო და აქტუალურ თემებზე:

- გაზეთი „კახეთის ხმა“ – თემები:
 - განრიდება და მედიაცია – არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ახალი ფორმა
 - რა უნდა ვიცოდეთ მემკვიდრეობის მიღების დროს
- გაზეთი „გურიის მოამბე“ – თემები:
 - პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირებისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის წესი და პირობები
 - უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია
- გაზეთი „ახალი გაზეთი“ – თემა:
 - მასწავლებელთა უფლებები
- გაზეთი „ხალხის გაზეთი“ – თემები:
 - გარემოს დაბინძურების გამო ადმინისტრაციული ჯარიმის დადებისა და გასაჩივრების წესი
 - მშობლისა და შვილის უფლებები
 - შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის სამართლებრივი თავისებურებანი
 - როგორ მოვითხოვოთ ფულადი კომპენსაცია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირთათვის
- გაზეთი „დუშეთის მაცნე“ – თემა:
 - ვინ სარგებლობს საგადასახადო შეღავათებით
- გაზეთი „რუსთავი“ – თემა:
 - სიახლეები პატიმრობის კოდექსში
- გაზეთი „ბოლნისი“ – თემა:
 - ადმინისტრაციული პატიმრობა
- გაზეთი „ბათუმელები“ – თემები:
 - მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება

- საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი შეუთავსებლობა
- მე და ჩემი უფლებები
- გაზეთი „აჭარა ნიუსი“ – თემა:
 - განრიდებისა და მედიაციის პროგრამა – სიახლე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში

ავტო-ტურები

მიმდინარე საანგარიშო წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, საიას იურისტები აქტიურად მონაწილეობდნენ გასვლით შეხვედრებში – ავტო ტურებში. ამ გზით ვცდილობდით, სხვადასხვა რაიონის მიუვალ სოფლებში მიგვეწვდინა ჩვენი სმა მოსახლეობისთვის. ავტო-ტურების დროს ხდებოდა მოსახლეობისთვის საკანონმდებლო სიახლეების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და მათთვის იურიდიული დახმარების გაწევა.

საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ავტო-ტურები შემდეგ აქტივობებს მოიცავდა:

გორის ოფისის ავტო-ტური სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: ყულაღისი, პატარა კონდური, დილიფია, დიდი კონდური, ხულგუმი, დიდი არაქალი, ქარცეფი, მაჭატია, თოთხამი, კორხი, ორჯა, პატარა ხორენია, კიროვაკანი, კუმურდო, სპასოვკა, ორლოვკა, მურჯახეთი, ოროჯოლარი, ჩამდურა, ვაჩიანი, ოკამი, აფნია, გოგაშენი, აზმანა, სათხე, ხოსპიო, მამწვარა, ჯიგრაშენი. მოსახლეობის დანტერესება გამოიწვია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლთათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის, სკოლის მანდატურების უფლებამოსილების, მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების, ორმაგი მოქალაქეობის მიღების, მაღალმთიანი რეგიონებისათვის კანონით გათვალისწინებული შეღავათების, მასწავლებელთა სერტიფიცირების, მარჩენალდაკარგულის პენსიის დანიშვნის, სოციალური დახმარების დანიშვნის, უძრავი ნივთების რეგისტრაციის, ოჯახური ძალადობის, ჯანმრთელობის დაზღვევის, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების, საარსებო შემწეობის დანიშვნის, იურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, სკოლის თვითმმართველობის, სამეურვეო საბჭოს ფუნქციების, ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციის, ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების, ეროვნული უმცირესობების მიერ სახელმწიფო ენის შესწავლის, მემკვიდრეობის მიღების, საზღვრის უკანონო გადაკვეთის, შეწყალებისა და ამნისტიის, საგადასახადო შეღავათების და სხვა სამართლებრივმა საკითხებმა. შეხვედრებზე მოსახლეობას დაურიგდა საიას მიერ გამოცემული საინფორმაციო ხასიათის ბროშურები.

თელავის ოფისის ავტო-ტური ლაგოდეხის, ყვარლის, თელავის, ახმეტის, გურჯაანის მუნიციპალიტეტების სოფლებში: კაბალი, აფენი, ლელიანი, ვარდისუბანი, ჰერეთისკარი, ჭიაურიბოლოკიანი, კართუბანი, წიფლისწყვარო, სანიორე, იყალთო, ნაფარეული, შაქრიანი, გრემი, ენისელი, შილდა, გავაზი, ქვემო ალვანი, ზემო ხოდაშენი, მატანანი, კალაური, ვაჩნაძიანი. სულ გაცემულ იქნა 722 კონსულტაცია. მოსახლეობის დანტერესება გამოიწვია ადმინისტრაციული სახდელის დადების, იძულებითი აღსრულების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაკანონების, სოფლის დახმარების პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების ხარჯვის, საპენსიო უზრუნველყოფის, შრომითი ხელშეკრულების მოშლის, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის, კომლში მემკვიდრეობის გახსნის, უძრავი ქონების რეგისტრაციის, იჯარით აღებული მიწების შესყიდვის, საკომლო წიგნების, ტერიტორიული ორგანოების მიერ ცნობების გაცემის და მათ მიერ სანოტარო მოქმედებათა შესრულების პრობლემებმა.



აჭარის ფილიალის ავტო-ტურები ქედის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: სამება, ჭინკაძეები, დონაძეები, ოქროპილაური, ხიჭაური,

რიკინიდი, დრო, მასაური, ლორჯომი, კაპრეშუმი, ჭახაუტი, მერჩხეთი, ხალა, კვაშტა, ჩელტა, დუაძეები, ზემო აგარა, დიკონიძეები, მახუნცეთი, გოგაძეები, დიდაჭარა, ცინცქალაშვილები, ჩიკვაძეები, ზედა გოროდოკი, სტეფანაშვილები, კვირიკე, ზუნდუკა, განთიადი, ზედა კვირიკე, ყოროლისთავი, ქვედა კვირიკე, ცივაძეები, ზენდიდი, ტაკიძეები, ლაბაძეები, გორგაძეები, წინსვლა, ორთაბათუმი, ზედა განთიადი, მწვანე კონცხი, დოლოგანი, ჩაისუბანი, ჩაქვისთავი, გოგორდის აბანოები, ფერია, გონიო, სარფი, კვარიათი, ანგისა, ზედა მახუნცეთი, ციხისძირი, იაკობაძეები, ოქტომბერი, ფუშკურაული. მთლიანობაში გაცემულ იქნა 1086 კონსულტაცია. მოსახლეობის დაინტერესება გამოიწვია მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარების, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებული პირებისათვის ფულადი კომპენსაციის გაცემის, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების, სოციალური დახმარების, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემის, გაყალბებულ პირად მონაცემებზე ამნისტიის და ეკომიგრანტების განსახლების საკითხებმა. საიას აჭარის ფილიალის იურისტებმა მაღალმთიანი აჭარის რეგიონში მცხოვრებ პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირებს ადგილზევე შეუდგინეს სარჩელები ფულადი კომპენსაციის მისაღებად. აგრეთვე, განუმარტეს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის, საარსებო შემწეობის მიღებისა და ჯანმრთელობის დაზღვევის წესი და პირობები.

დუშეთის ოფისის ავტო-ტური დუშეთის, თიანეთისა და მცხეთის მუნიციპალიტეტებში. მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა 35 დასახლებულ პუნქტში. მათ შორის შემდეგ სოფლებში: ბარისახო, შატილი, როშკა, კორმა, გუდანი, მუტო, ვემათხევი, ნატახტარი, ჭართალი, ბოდორნა, წითელსოფელი, ხანდო, ჩრდილელიანთკარი, ვაშლობი, საშაბურო, ახატანი, უნდილაანები, ბაგა, პავლეური, არანისი, ჩინთი, ქაისხევი, ჩუბინაანთკარი, გოგნაური, კიტოხი, წიფნარი, ლაფანაანთკარი, მჭადიჯვარი, ტონჩა, წიწაპური, ციხისძირი, მიგრაულები, ჭოპორტი, ცივწყარო, დგნალი.

გასვლით შეხვედრებში მონაწილეობას იღებდა და იურიდიული კონსულტაცია გაეწია 684 მოქალაქეს. მოსახლეობის განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირებზე ფულადი კომპენსაციის გაცემის, მიწების დაკანონების, მემკვიდრეობის მიღების, სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის, პენსიაზე დანამატის მიღების, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების, დაზღვევის, სოციალური დახმარებების დანიშვნის, კომლის გაყოფის, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, მარჩენალდაკარგულის პენსიის დანიშვნის, მაღალმთიანი რეგიონებისათვის სარგებლობის პრობლემებმა.



კანონმდებლობით გათვალისწინებული შეღავათებით

ოზურგეთის ოფისის ავტო-ტური ჩოხატაურის, ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: ჯიქეთი, ჭყონაგორა, ჯუმათი, გომი, გონებისკარი, ფამფალეთი, განახლება, ხევი, ნიგოთი, შრომისუბანი, ნაბელავი, ბახმარო, შედრეკილი, ფაფარა, ბახვი, ქვემო ბახვი, ხიდისთავი, მამათი, ჩოჩხათი, აცანა, ციხისფერდი, ბუკისციხე, იანუელი, წიფნარი, აკეთი, კოხნარი, სოფელი ოზურგეთი. სულ გაცემულ იქნა 1256 კონსულტაცია. მოსახლეობის ინტერესის სფეროს წარმოადგენდა მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების, პოლიტიკური რეპრესიის მსხვერპლად აღიარებულ პირთათვის ფულადი კომპენსაციის



გაცემის, უძრავი ქონების რეგისტრაციის, მიწის პრივატიზაციის, მაღალმთიანი რეგიონებისათვის დაწესებული შეღავათების, კომლის გაყოფის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ტყითა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, საგადასახო შეღავათებისა და სოციალური საკითხები.

რუსთავის ოფისის ავტო-ტური მარნეულის, თეთრიწყაროს, გარდაბნის, ბოლნისის და წალკის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: ტბისი, მაწევანი, გოლთეთი, ენაგეთი, გუნიაკალა, განთიადი, ედიქილისა, აიაზმი, ახალიკი, ქვემო ხარაბა, ოფრეთი, ხონხელი, უშაშლო, აღმაგედი, სამგორი, ახალი სამგორი, იფნარი, დაგეთი, ზემოლაშენი, სამღერეთი, თნუსი, ჯავახი, დალარი, ვაკე, სადახლო, მირზოევკა, გუდარეხი, ხოპისი, ქსოვრეთი, აბელიანი, სადრაშენი, დამფაში, მუხათი, კუმისი, კოდა, ბოგვი. გაცემულ იქნა კონსულტაციები სხვადასხვა სამართლებრივ საკითხზე, მათ შორის, საქართველოს მოქალაქეობის მიღებაზე, მიწების დაკანონებაზე, სამედიცინო დაწესებულების გარეთ დაბადებულ ბავშვთა დაბადების ფაქტების დადგენაზე, სააქტო ჩანაწერებში არასწორი მონაცემების შესწორებებზე, პენსიის და სოციალური დახმარების დანიშვნაზე. როგორც აღმოჩნდა, ქვემო ქართლის მოსახლეობისათვის მთავარი პრობლემა სოციალური დახმარებების მიუღებლობაა. საიას რუსთავის ოფისის იურისტებმა ადგილზე დაუწერეს მოქალაქეებს განცხადებები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დასარეგისტრირებლად, სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებში წარსადგენად. ასევე, გამოიკვეთა მაღალმთიანი აჭარიდან გადმოსახლებული ეკომიგრანტების განსახლების პრობლემებიც. მათ დღემდე არ აქვთ მინიჭებული სტატუსი და ცხოვრობენ საბერძნეთის მოქალაქეების მიერ მიტოვებულ სახლებში. საიას იურისტებმა ეკომიგრანტებს გაუწიეს სამართლებრივი კონსულტაციები.



ქუთაისის ფილიალის ავტო-ტური სამეგრელოს რეგიონის აბაშის, სენაკის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ზუგდიდისა და ფოთის მუნიციპალიტეტების შემდეგ სოფლებში: მარანი, ნოჯიხევი, ანაკლია, განმუხური, დარჩელი, ფოცხო-ეწერი, ღია, ჯგალი, კანთი, მუხური, ხაბუშე, პირველი ჭოლა, ნაფიხხოვო, ტალერი, დიდი ჭყონი, გაჭედელი, ინჩხური, ნახარებაო, ბანძა, ნოქალაქევი, ძველი სენაკი, ჭალადიდი, ხეთა, დაბა ჯვარი. ასევე, შეხვედრები გაიმართა აბაშის, სენაკის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის, ზუგდიდის საკრებულოებსა და გამგებებში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთის მხარეში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობაში. სულ გაიმართა 40 შეხვედრა. მასში მონაწილეობა მიიღო 440-მა მოქალაქემ და გაცემულ იქნა 850 კონსულტაცია. ანაკლიასა და სოფელ ერგეთაში მწვავედ დგას საკუთრების ხელყოფის პრობლემა, თუმცა, სამწუხაროდ, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან დაშინებული მოსახლეობა, იშვიათი გამონაკლისის გარდა, არ აპირებს საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლას. მოსახლეობა დადებითად აფასებს მართვის ტერიტორიული ორგანოებისათვის უფლებამოსილების გაზრდის საკითხს, თუმცა, აღნიშნავენ, რომ მათ უნდა დაუბრუნდეთ არქივებისათვის 2006 წელს გადაცემული დოკუმენტაცია, რადგან ამ დოკუმენტაციის გარეშე რწმუნებულები ვერ გასცემენ სოციალურ-უფლებრივი ხასიათის ცნობებს. მოსახლეობის დაინტერესება გამოიწვია იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტური ჩასახლებებიდან გამოსახლების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზაციის, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის განხორციელების, მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების, სოციალურმა და ეკოლოგიურმა პრობლემებმა, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პირებზე სოციალური დახმარების გაწევის საკითხებმა.

ქუთაისის ფილიალის ავტო-ტური რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის რეგიონის, ონის, ამბროლაურის, ცაგერის, ლენტეხის მუნიციპალიტეტებში. მოსახლეობასთან შეხვედრები გაიმართა შემდეგ სოფლებში: ხონჭიორი, კვაცხუთი, ლაღიში, სურმუში, სპათაგორი, სხვაკა, ლვირიში, ლაჯანა, ძირაგეული, კრიხი, სადმელი, ჩორჯო, ალპანა, თხმორი, შავრა, ნაკიეთი, ბაჯი, ოფიტარა, მახური, ზუბი, ლარჩვალი, ნამანევი, გენდუში, ქვიშარი, ხვანჭკარა,

ნაკურალეში, ტვიში, ქორენიში, გლოლა, შოვი, ხოტევი, ბარდნალა, ჩხუტელი, ორბელი, ნიკორწმინდა, პატარა ონი, სორი, წესი, ჭრებალო, პირველი ტოლა, მეორე ტოლა, ჟოშხა, წიფერჩი, ჭელიაღელე, ნიგვზნარი. შეხვედრები გაიმართა ასევე, სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციაში, ცაგერის, ლენტეხის, ონის, ამბროლაურის საკრებულოებსა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურ ჩასახლებებში. სულ გაიმართა 50 შეხვედრა. მთლიანობაში გაიცა 500 კონსულტაცია. შეხვედრებზე გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი პრობლემა. მაგალითად, ლენტეხს და ცაგერს არ ჰყავს ნოტარიუსი და მოსახლეობას სანოტარო მოქმედებათა შესასრულებლად ქუთაისში უწევს ჩასვლა. ცალკე აღნიშვნის ღირსია რეგიონის მოსახლეობის სკეპტიკური დამოკიდებულება ნამოხვანის, ტვიშის და ჟონეთის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობასთან დაკავშირებით. ადგილობრივთა აზრით, აღნიშნული მშენებლობები მოსახლეობისაგან გაღმა ლენხუმის დაცლას გამოიწვევს. მათ პრობლემების გადაწყვეტაში დახმარება საიას სთხოვეს. მოსახლეობის მხრიდან დაინტერესება გამოიწვია მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების, უძრავი ქონების რეგისტრაციის, მიწის პრივატიზაციის, მაღალმთიანი რეგიონებისათვის დაწესებული შეღავათების, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პირებზე სოციალური დახმარების გაცემის, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულისათვის ქონების გადაცემის, მომხმარებელთა უფლებების დაცვის, ტყითა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის, საგადასახო შეღავათების, სტიქიური უბედურების დროს დაზარალებული ეკომიგრანტების განსახლების, ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილების და სოციალურმა საკითხებმა.

ავტო-ტურის ფარგლებში საია შეხვდა სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, რომლებმაც ქუთაისის ფილიალის წარმომადგენლებს სთხოვეს რეგიონის თვითმმართველობის მოხელეებისთვის ტრენინგების ჩატარება ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობაში, ასევე, დახმარების გაწევა რეგიონული განვითარების სტრატეგიის შემუშავებასა და მის ლობირებაში.

ქუთაისის ფილიალის ავტო-ტური მესტიის მუნიციპალიტეტში. შეხვედრები გაიმართა მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, უშგულის, კალის, იფარის, მულახის, ლენჯერის, ლატალის, ბენოს, ეწერის, ჭუბერის თემში. ასევე, მესტიის საგანმანათლებლო რესურსცენტრსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მესტიის მომსახურების ცენტრში. სულ გაიმართა 17 შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 160-მა მოქალაქემ. გაცემულ იქნა 335 კონსულტაცია. შეხვედრებზე გამოიკვეთა რამდენიმე პრობლემა, რომლებიც სასწრაფო რეაგირებას მოითხოვდა. ზუგდიდი-მესტიის 140 კილომეტრიანი გზის მშენებლობისას ადგილი ჰქონდა საკუთრების ჩამორთმევის შემთხვევებს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, თუმცა, რამდენიმე მესაკუთრეს კომპენსაცია არ მიუღია. ასევე, მესტიის მოსახლეობა უარყოფითად აფასებს ხულონისა და ნესკრაჰის მშენებლობას – შიშობენ, რომ ამან შეიძლება ეკოლოგიური კატასტროფა გამოიწვიოს, რაც ადგილობრივი მოსახლეობისგან ზემო სვანეთის დაცლას გამოიწვევს. აღსანიშნავია, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში არსებული უნიკალური სვანური კოშკების ინფრასტრუქტურა „დაცული ტერიტორიების სტატუსის შესახებ“ და „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონებში ვერ მოხვდა. რეგიონში განსაკუთრებით მწვავედ დგას სოციალური დახმარებების მიღების პრობლემა. მოსახლეობის უმრავლესობა უკმაყოფილოა სოციალური მომსახურების სააგენტოს როგორც მესტიის, ასევე სამხარეო ცენტრის საქმიანობით. ისინი ითხოვენ სოციალური მომსახურების სააგენტოდან კომისიის ჩასვლას და საკითხის შესწავლას. მოსახლეობის აზრით, საარსებო შემწეობა არ აქვთ დანიშნული უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანებს. მესტიას დღემდე არ ჰყავს ნოტარიუსი, რის გამოც მოსახლეობას ზუგდიდში უწევს ჩასვლა სანოტარო მოქმედებათა განსახორციელებლად. მართვის ტერიტორიულ ორგანოებს არ გააჩნიათ შენობა და საჭირო ინვენტარი. მართვის ტერიტორიულ ორგანოებს ხელი არ მიუწვდებათ ინტერნეტზე, შესაბამისად, არც სანოტარო რეესტრზე და სანოტარო მოქმედებებს ვერ ასრულებენ. ცალკე პრობლემად უნდა გამოვყოთ სოფლის, დაბის და თემის ლიკვიდირებული საკრებულოების დოკუმენტაციის გადაცემა სახელმწიფო არქივებისთვის. ამ დოკუმენტაციის გარეშე რწმუნებულები ვერ გასცემენ სოციალურ-უფლებრივი ხასიათის ცნობებს. აღნიშნული პრობლემის აღმოსაფხვრელად, საიას რეკომენდაციაა, რომ მართვის ტერიტორიულ ორგანოებს დაუბრუნდეთ არქივებისთვის 2006 წელს გადაცემული დოკუმენტაცია. მოსახლეობის დაინტერესება გამოიწვია მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების, სოციალურმა და ეკოლოგიურმა პრობლემებმა, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ პირებზე სოციალური დახმარების გაწევის საკითხებმა.

იძულებით გადაადგილებულ პირთა მოზილიზაცია, ტრენინგები და სწავლების ამაღლება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საია განაგრძობდა დევნილთა სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას მათთვის მნიშვნელოვან თემებზე. დევნილებისათვის, რომლებსაც, სამოქმედო გეგმის შესაბამისად, საკუთრებაში გადაეცათ დაკავებული საცხოვრებელი ფართები, მნიშვნელოვანი გახდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მეშვეობით საცხოვრებელ კორპუსთან დაკავშირებული პრობლემების ერთობლივად გადაწყვეტა. ამ მიზნით, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ჩატარდა 18 ტრენინგი (თბილისსა და რუსთავში) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ჩამოყალიბებისა და მათი ფუნქციების შესახებ. ტრენინგებზე სხვადასხვა კოლექტიური ცენტრიდან მოწვეულნი იყვნენ 15 კაციანი ჯგუფები.

საია კვლავ აგრძელებდა მობილურ ვიზიტებს წინასწარ შერჩეულ კოლექტიურ ცენტრებსა და დევნილთა ახალ ჩასახლებებში. აღნიშნული ვიზიტებისას დევნილებს მიეწოდებოდათ ინფორმაცია განახლებული სამოქმედო გეგმისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 166 მობილური ვიზიტი.

დევნილთა ცნობიერების ამაღლების მიზნით, საანგარიშო პერიოდში გამოვლენილ აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით, გამოიცა შემდეგი საინფორმაციო ხასიათის ბროშურები:

- სახელმწიფო პენსიის შესახებ
- დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების საკუთრებაში გადაცემა
- საცხოვრებლის უფლება და დაუსაბუთებელი გამოსახლებისაგან დაცვის გარანტიები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია განაგრძობდა თანამშრომლობას საქართველოში დევნილთა საკითხებზე მომუშავე ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და დევნილთა სამინისტროსთან. საანგარიშო პერიოდში მოეწყო 6 საკოორდინაციო შეხვედრა, რომლებზეც ხდებოდა დევნილთა საკითხებთან დაკავშირებით აქტუალური პრობლემების განხილვა.



ჯანდაცვის უფლება

საიამ, როგორც უფლებადამცველმა ორგანიზაციამ, ბოლო 3 წელია აქტიურად დაიწყო მუშაობა ჯანმრთელობის უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. პროექტის – ადამიანის უფლებების განხორციელება პაციენტთა მზრუნველობის სფეროში – ფარგლებში შეიქმნა ვებ-გვერდი: www.healthrights.ge



ვებ-გვერდის მიზანია, იურისტებს, ჯანდაცვის მომსახურების განმახორციელებლებს, პაციენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს სრულყოფილი და მუდმივად განახლებადი ინფორმაცია ადამიანის უფლებების შესახებ პაციენტთა მზრუნველობის სფეროში. ვებ-გვერდის ერთ-ერთი მიზანია, საზოგადოებას გააცნოს პრაქტიკული სახელმძღვანელო „ადამიანის უფლებები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში“, რომელიც 2011 წელს შეიქმნა „ღია საზოგადოების ინსტიტუტისა“ და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მიერ. სახელმძღვანელო პრაქტიკული მნიშვნელობისაა და წარმოადგენს გზამკვლევს იურისტებისათვის, რათა მათ გაუადვილდეთ სამართლებრივი მექანიზმების გამოყენება ჯანდაცვის სფეროში ადამიანის უფლებების დასაცავად.

საზოგადოების სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება და შრომის უფლებათა დარღვევების პრევენცია

საანგარიშო პერიოდში შრომის უფლებების ცალკეულ დარღვევებზე რეაგირების გარდა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ახორციელებდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების აქტივობებს შრომით უფლებებთან დაკავშირებით. ამ მიზნით, მომზადდა სპეციალური ბროშურები, რომლებშიც ასახულია როგორც საერთაშორისო სტანდარტები, ისე ძირითადი შრომითი უფლებები და მათი დაცვის მექანიზმები ეროვნული კანონმდებლობის დონეზე. ბროშურები გამოიცა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და გავრცელდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში.

პროექტის ფარგლებში აგრეთვე მომზადდა სოციალური რეკლამები, რომლებიც ვრცელდება საზოგადოებრივი მაუწყებლის მეშვეობით. რეკლამები მიეძღვნა ორსულთა, არასრულწლოვანთა შრომით უფლებებს და ა.შ.

ოჯახში ძალადობის პრევენცია

საია კვლავ აქტიურად განაგრძობს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას მოწყველად ჯგუფებში ოჯახური ძალადობის საკითხებზე. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიამ თბილისისა და შიდა ქართლის მასშტაბით აქტიური კამპანია აწარმოვა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა იძულებით გადაადგილებულ პირთა ცნობიერების ამაღლება ოჯახში ძალადობისა და ტრეფიკინგის საკითხებთან დაკავშირებით. განხორციელდა 108 საინფორმაციო შეხვედრა, მოეწყო 3 მრგვალი მაგიდა, ასევე, შიდა ქართლის საჯარო სკოლებში მასწავლებელთათვის ჩატარდა 12 საჯარო ლექცია ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით.

2011 წლის აპრილში გაიმართა ნახატებისა და მოკლე პიესების კონკურსის – „უარი ოჯახში ძალადობას!“ – პრეზენტაცია. კონკურსში გამარჯვებულებს პრიზები გადასცეს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა და აშშ-ს ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა. გარდა ამისა, დაიდგა სპექტაკლი, რომელიც ნაჩვენები იქნა იძულებით გადაადგილებული პირებით დასახლებულ 10 პუნქტში, ხოლო გამარჯვებული ნახატების გამოყენებით დაიბეჭდა მისალოცი ბარათები და სანიშნეები, რომლებიც გავრცელდა თბილისსა და რეგიონებში.



საანგარიშო პერიოდში იძულებით გადაადგილებულ პირთათვის ჩატარდა 13 ტრენინგი, რომლებზეც განხილულ იქნა საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობისა და ადამიანი ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ. ტრენინგებს სულ 112 ადამიანი დაესწრო.

ადამიანის უფლებათა კვირეული

საანგარიშო პერიოდში საიამ ტრადიციისამებრ აღნიშნა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დღე – 10 დეკემბერი და კვირეული მიუძღვნა, რომელიც გაიხსნა 9 დეკემბერს უზენაეს სასამართლოსთან ჩატარებული მშვიდობიანი აქციით. მონაწილეები, რომლებიც სპეციალური სიმბოლიკით გაფორმებული მაისურებით იყვნენ შემოსილნი, შეიკრიბნენ სასამართლოსთან და ის ძირითადი მესიჯები გააუღერეს, რომლებიც ბოლო პერიოდში გამოკვეთილ პრობლემებთან ასოცირდებოდა.



აქციის სლოგანი იყო „ალიარე ჩემი უფლება!“ და, ძირითადად, უკავშირდებოდა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის კუთხით არსებულ დაბრკოლებებს, რაც ბოლო პერიოდში სერიოზულ პრობლემად იქცა.

ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში ბათუმში, საკონსტიტუციო სასამართლოში, სტუდენტური ოლიმპიადა ჩატარდა. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობით, სტუდენტურ ოლიმპიადას „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“ მთელი საქართველოს მასშტაბით უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში სისტემატურად ატარებს.

საიას თავმჯდომარემ თამარ ჩუგოშვილმა და მედია-ექსპერტთა ჯგუფმა ლაშა ტულუშის ხელმძღვანელობით, ადამიანის უფლებათა კვირეულის ფარგლებში, მედიაში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით ბრიფინგი გამართეს, რომელზეც დეტალურად იქნა განხილული მედია-გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად გასატარებელი ღონისძიებები.

26 ივნისი – წამების მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო დღე

26 ივნისს საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ტრადიციულად აღნიშნა წამების მსხვერპლთა დაცვის საერთაშორისო დღე. დროებითი მოთავსების იზოლატორების შენობებთან, თბილისსა და რეგიონებში, გაიმართა აქციები სახელწოდებით „არ აწამო“, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თანამშრომლები, მოხალისეები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები.

აქციის მონაწილეებმა დროებითი მოთავსების იზოლატორის შენობის წინ გააბეს ყვითელი ლენტის წარწერით „არ აწამო“. მონაწილეებს ეცვათ მაისურები აქციის მთავარი სლოგანით: „არ აწამო!“ „არ გაჩუმდე!“ „არ დაფარო!“ „არ შეეგუო!“ „გამოიძიე!“





აქციის მეშვეობით საიამ ყურადღება გაამახვილა შემდეგ გზავნილებზე:

- ადმინისტრაციული პატიმრობა მოქმედი ფორმით და მისი მოხდა დროებითი მოთავსების იზოლაციონებში მიუღებელია, რადგან, როგორც წესი, ეს უთანაბრება წამებასა და არაადამიანურ მოპყრობას;
- საიამ მოუწოდა წამების ან/და არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლებს, ხმა აიმაღლონ წამების წინააღმდეგ;
- საიამ მოუწოდა სამართალდამცავ ორგანოებს, ეფექტურად და მიუკერძოებლად გამოიძიონ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები.

28 სექტემბერი – ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღე

2011 წელს საიამ ტრადიციულად აღნიშნა ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო დღე – 28 სექტემბერი. პროექტის – „ანგარიშგაღებულება და გამჭვირვალობის ხელშეწყობა საქართველოში“ – ფარგლებში ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ღონისძიებები ერთდროულად ჩატარდა თბილისის, ქუთაისის, გორისა და თელავის ოფისებში.

გაიმართა ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე ვაკრობაზე თანხმობების გაცემასთან დაკავშირებით მომზადებული კვლევის პრეზენტაცია. ამავე დღეს საიამ საზოგადოებას წარუდგინა საჯარო ინფორმაციის ბაზა – www.gyla.ge/foib, რომლის მიზანია, ყველასათვის მარტივად ხელმისაწვდომი გახადოს საიას მიერ საჯარო დაწესებულებებიდან მოპოვებული ინფორმაცია.



საიას რეგიონულ ოფისებში განხორციელებული ღონისძიებების დროს ყურადღება გაამახვილდა ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით რეგიონში არსებულ პრობლემებსა და იმ დაბრკოლებებზე, რაც საიას საჯარო ინფორმაციის მოძიებისას ექმნება. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა ქუთაისში საქართველოს პარლამენტის მშენებლობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაუცემლობაზე.

ამავე დღეს საიას წარმომადგენელმა სკოლის მოსწავლეებთან ინფორმაციის თავისუფლების თემაზე საჯარო გაკვეთილი ჩაატარა.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა აღმოსავლეთის პარტნიორობისთვის

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ახორციელებს პროექტს „საქართველოს ეროვნული პლატფორმა აღმოსავლეთის პარტნიორობისთვის“, რომლის მიზანია საქართველოს ეროვნული პლატფორმის შეუფერხებელი და ეფექტიანი მუშაობის ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება მისი საქმიანობის შესახებ.



2009 წლის 7 მაისს ევროკავშირმა აღმოსავლეთ ევროპის ექვს ქვეყანას: აზერბაიჯანს, საქართველოს, სომხეთს, ბელორუსს, მოლდავეთსა და უკრაინას თანამშრომლობის ახალი ფორმა – აღმოსავლეთის პარტნიორობა შესთავაზა. ევროკავშირის ახალი ინიციატივის მიზნებია: დემოკრატიისა და ეფექტიანი მმართველობის, სოციალური და ეკონომიკური განვითარების, სექტორული რეფორმების, გარემოს დაცვის ხელშეწყობა, ენერგოსექტორის გაძლიერება, ხალხთაშორის კონტაქტების წახალისება.

ევროპის კომისიის ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა აღმოსავლეთის პარტნიორობის **სამოქალაქო საზოგადოების ფორუმს**. ფორუმმა ხელი უნდა შეუწყოს პარტნიორი ექვსი ქვეყნის სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებას, მათ შორის თანამშრომლობას, საჯარო დაწესებულებებთან დიალოგს, აღმოსავლეთის პარტნიორობის მიზნების მიღწევას მითითებულ ქვეყნებში. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეფექტიანი საქმიანობისთვის, თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში შექმნილია არასამთავრობო ორგანიზაციათა ეროვნული პლატფორმები. პლატფორმის ეროვნული კოორდინატორია საიას ყოფილი თავმჯდომარე თამარ ხიდაშელი.

საქართველოს ეროვნული პლატფორმა ჩამოყალიბდა 2010 წლის 13 ნოემბერს. მისი მიზნებია:

1. აღმოსავლეთის პარტნიორობის თემატური პლატფორმებისა და საფლავმანო ინიციატივების მიმდინარეობის ხელშეწყობა საქართველოში;
2. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ინტერესების წარდგენა და ფორუმის საქმიანობის ხელშეწყობა.

დღეისთვის პლატფორმაში გაწევრიანებულია ქართული და საქართველოში დარეგისტრირებული საერთაშორისო სამოქალაქო საზოგადოებრივი 83 ორგანიზაცია.

საქართველოს ეროვნული პლატფორმის მუშაობა მიმდინარეობს ოთხ ჯგუფად, აღმოსავლეთის პარტნიორობის ოთხი თემატური პლატფორმის შესაბამისად:

1. დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა და სტაბილურობა;
ქვეჯგუფები:
 - სასამართლო რეფორმა, ადამიანის უფლებები და მედია
 - კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა და საჯარო სამსახურის რეფორმა
2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან თანხვედრა;
3. გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და ენერგოუსაფრთხოება;
4. ხალხთაშორის კავშირების წახალისება.

საანგარიშო პერიოდში პროექტის ფარგლებში შექმნილი საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრები იმართებოდა ყოველთვე და განიხილებოდა პლატფორმის მუშაობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სტრატეგიული, ადმინისტრაციული თუ ტექნიკური საკითხები. სამუშაო ჯგუფების ორგანიზება ხდებოდა ჯგუფის კოორდინატორების ინიციატივით და საიას ხელშეწყობით. სულ ჩატარდა სამუშაო ჯგუფების 13 შეხვედრა, რომლებზეც აქტიური დისკუსია წარიმართა აღმოსავლეთ პარტნიორობასთან დაკავშირებულ საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული პლატფორმის მუშაობაში, რომელსაც პერმანენტულად უერთდება სხვადასხვა ორგანიზაცია.

მედია მონიტორინგი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მედია საშუალებებით ორგანიზაციის საქმიანობის გაშუქების მონიტორინგის მიზნით, უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს კვლევით ორგანიზაცია IPM-თან.


საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, IPM-ის მიერ მოწოდებული სტატისტიკით, საია მოხსენიებული იყო 34 მედიასაშუალების 1393 სტატიასა თუ ტელე-რადიო სიუჟეტში.

როგორც მონაცემებიდან ირკვევა, 7 ტელევიზიის ეთერით საიას შესახებ სულ გადაიკა 637 სიუჟეტი/ გადაცემა. მათ შორის ლიდერობდა ტელეკომპანია „მაესტრო“ 292 გადაცემით.

9 რადიოტალღაზე გავიდა 259 სიუჟეტი. მათ შორის, სიუჟეტების რაოდენობით პირველ ადგილზეა რადიო „პალიტრა“ 64 სიუჟეტით.

რაც შეეხება პრესას, პრესის 28 საშუალებაში წლის განმავლობაში საიას შესახებ გამოქვეყნდა 497 სტატია. ყველაზე მეტი – 112 სტატია დაიბეჭდა გაზეთ „რეზონანსში“.

საიას მიერ მედია დაფარვის სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:



ეფექტიანი, ანბარიშვალდახული და გამჭვირვალე მმართველობის ხელშეწყობა

ეფექტიანი მმართველობა საიას ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტულ მიმართულებად რჩება. დემოკრატიული მმართველობის დამკვიდრება ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიზანია, რომელიც წარმოუდგენელია ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე ხელისუფლებისა და ინფორმირებული მოქალაქის არსებობის გარეშე. ამ მიმართულებით 2011 წელს მომზადდა რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა და საიას საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა.

ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში – სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

სასამართლო პრაქტიკის ანალიზში განხილულია სასამართლო ტენდენციები ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით. ანალიზი მნიშვნელოვანი გამოცემაა პროფესიონალი იურისტებისა და, ასევე, ინფორმაციის თავისუფლების სფეროში მომუშავე ადამიანებისათვის. მასში გაანალიზებულია საკონსტიტუციო სასამართლოს ყველა გადაწყვეტილება და საერთო სასამართლოების მიერ 2008 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 1 სექტემბრამდე მიღებული გადაწყვეტილებები.

კვლევაში მოცემულია საკონსტიტუციო სასამართლოს სტანდარტი კონსტიტუციის 24-ე, 37-ე და 41-ე მუხლებთან დაკავშირებით. ასევე, ყურადღება გამახვილებულია საერთო სასამართლოების მიერ დამკვიდრებულ სტანდარტებზე.

საერთო სასამართლოების მიერ განვითარებული პრაქტიკით განიმარტა პერსონალური მონაცემების ცნება.

აღსანიშნავია სასამართლოს განმარტება ინფორმაციის „შექმასთან“ დაკავშირებით, კერძოდ ის, რომ ადმინისტრაციული ორგანო ინფორმაციის მოძიებისათვის ეყრდნობა მხოლოდ საკუთარ ბაზაში არსებულ მონაცემებს. სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ორგანო პასუხისმგებლობას არ იღებს, პროაქტიული მოქმედებები გაწიოს კონკრეტული პირის დასახმარებლად.

ინფორმაციის თავისუფლება – ზღვარი ლეგიტიმურ შეზღუდვასა და საჯარო ინტერესს შორის

პერსონალური მონაცემებისა და კომერციული საიდუმლოების კუთხით განვითარებულმა სასამართლო პრაქტიკამ ნათლად დაგვანახა ამ საკითხებზე სხვა მიმართულებით დამატებითი კვლევების ჩატარების აუცილებლობა. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ პერიოდში სასამართლო გადაწყვეტილებები ძირითადად ინფორმაციის გასაიდუმლოების კანონიერების დადასტურების ტენდენციით გამოირჩევა. პროექტის პირველ ფაზაში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საჯარო პირების პერსონალური მონაცემების განმარტება ძალზე ფართოდ ხდება სასამართლოების მიერ. სწორედ ამიტომ, შესწავლილ იქნა პერსონალური მონაცემებისა და კომერციული საიდუმლოების რეგულირების საკითხის შედარებითი ანალიზი თანამედროვე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით. კვლევის დროს განხილული მაგალითების შერჩევასა ყურადღება იქნა გამახვილებული როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებზე. ასევე, შესწავლილ იქნა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში დამკვიდრებული პრაქტიკა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ საქართველოში განვითარებული პრაქტიკა არ შეესაბამება უცხო ქვეყნების საერთაშორისო გამოცდილებას, განსაკუთრებით, საჯარო მოხელეთა პერსონალური მონაცემების საჯაროობის ნაწილში. საია გამოთქვამს იმედს, რომ ეს კვლევა, პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იქნება ინფორმაციის თავისუფლების სფეროში მოღვაწე ნებისმიერი პირისათვის.



იკულავით გადაადგილებულ პირთა დასახმარებლად ჩატარებული სამუშაოების მონიტორინგი

წინა საანგარიშო წელს საიამ გამოაქვეყნა „დევილთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფისათვის ღონისძიება მიერ გამოყოფილი საერთაშორისო დახმარებების ხარჯვის მონიტორინგის ანგარიში“. ანგარიში მოიცავდა საცხოვრებელი სახლების მშენებლობისა და რეაბილიტაციისათვის გაწეული ხარჯის მონიტორინგს. მიმდინარე წელს, ორგანიზაცია კვლავ აგრძელებდა მუშაობას ამ მიმართულებით. ამჯერად ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა დევილთა საცხოვრებელ ადგილებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, წყალმომარაგებისა და გაზიფიცირების მიზნით განხორციელებული შესყიდვების კანონიერება, მიზნობრიობა და ეფექტურობა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა ისეთი პრობლემები, როგორცაა მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოსათვის დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარდგენა, შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვისას რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების გათვალისწინებლობა, დევექტების აღმოუფხვრელობა და მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის შემთხვევაში.

ქ. თბილისის ტერიტორიაზე გარე-ვაჭრობების ნებართვის გაცემა

საანგარიშო პერიოდში საიამ შეისწავლა ქ. თბილისის ტერიტორიაზე (2009-2011 წლებში), სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ, საზოგადოებრივ ადგილებში გარე ვაჭრობის განხორციელების მიზნით დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსებისათვის გაცემული თანხმობებისა და უარის თქმის კანონიერების პროცესი. კვლევამ აჩვენა, რომ არქიტექტურის სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, ერთეული იურიდიული პირები, სხვა დაინტერესებული სუბიექტებისაგან განსხვავებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

ამასთან, დროებითი შენობა-ნაგებობების ან/და დანადგარების განთავსების შესახებ მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ საკითხებზე მეტ სიზუსტეს მოითხოვს, ხოლო სამართლებრივ აქტებში შეტანილი ცვლილებები – მეტ დასაბუთებას.



კვლევა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საჭიროებებთან დაკავშირებით გადასვლის საჭიროებების შესახებ

საიამ მოამზადა კვლევა ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის საჭიროებებთან დაკავშირებით, რომელიც მოიცავს როგორც საერთაშორისო რეგულაციებს, ისე ამ მიმართულებით მოწინავე ქვეყნების პრაქტიკის მიმოხილვას. კერძოდ, შესწავლილ და გაანალიზებულ იქნა საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე საქართველოს მიერ აღებული ვალდებულება – 2015 წლამდე განახორციელოს ქვეყნის გადაყვანა ციფრულ მაუწყებლობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთაშორისო თანამეგობრობა პასუხისმგებლობას იხსნის არსებული სიხშირეების სხვა ქვეყნების მიერ მითვისების შემთხვევაში. გარდა ამისა, კვლევაში გაანალიზებულია აშშ-ს, ჰოლანდიის, შვედეთის და სხვა ქვეყნების გამოცდილება, რათა აღნიშნული ძვირადღირებული ვალდებულება საქართველომ მაქსიმალურად საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით განახორციელოს.

საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა

საანგარიშო პერიოდში შეიქმნა საიას საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა, რომელშიც დაცულია საიას მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი განცხადებები და მათზე მიწოდებული პასუხების მონაცემები, ასევე, სრულად არის ატვირთული ორიგინალი დოკუმენტები.

ბაზის შექმნისას, საია ხელმძღვანელობდა მაქსიმალური გამჭვირვალობის პრინციპით, ანუ ორგანიზაციის მიერ მოპოვებული ნებისმიერი საჯარო ინფორმაცია საზოგადოებისათვის მაქსიმალურად კომფორტული ფორმით უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ბაზა განთავსებულია საიას ვებ-გვერდზე და მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

საიას წევრობა კოალიციებში

2011 წლის 14 აპრილს შეიქმნა კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“, რომელშიც გაერთიანებულია 11 ორგანიზაცია. კოალიციის საქმიანობის მიზანია: ა) ქვეყანაში არსებული მედიაგარემოს გაუმჯობესება; ბ) მედიამფლობელთა და ჟურნალისტების ინტერესების დაცვა; გ) მედიის როლის გაძლიერება დემოკრატიის განვითარებაში. კოალიციის ძირითადი პრიორიტეტებია მედიის გამჭვირვალობისა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის მონიტორინგი, მედიის მარეგულირებელი საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება და ლობირება, კანონის აღსრულებაზე დაკვირვება და რეაგირება, ჟურნალისტთა უფლებებისა და მედიის ფინანსური დამოუკიდებლობის დაცვა. კოალიციის საქმიანობას კოორდინაციას უწევს საიას წარმომადგენელი.

2011 წლის გაზაფხულზე შეიქმნა კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“, რომელშიც გაერთიანებულია 29 ორგანიზაცია. აღსანიშნავია, რომ, გარდა უფლებადამცველი ორგანიზაციებისა, კოალიციის წევრია სხვადასხვა ფონდი და ბიზნეს ასოციაცია. კოალიციის მიზანია სახელმწიფოს პასუხისმგებლობის და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხელშეწყობა დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების მისაღწევად. კოალიციის ხელმძღვანელად არჩეულ იქნა საიას თავმჯდომარე. საქმიანობის პირველი წლის პრიორიტეტული მიმართულებებია მართლმსაჯულების გამჭვირვალობა, მოსამართლეთა დანიშვნა/გათავისუფლება და ადმინისტრაციული სამართალდარღვევები.

საანგარიშო პერიოდში საია გახდა სისხლის საერთაშორისო სასამართლოს კოალიციის სახელმძღვანელო კომიტეტის წევრი. კოალიცია სისხლის საერთაშორისო სასამართლოსათვის დაფუძნდა 1995 წელს. ის მსოფლიოს 150 ქვეყანაში 2500 სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციას აერთიანებს. კოალიციის მიზნებია: გააძლიეროს საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის საერთაშორისო სასამართლოსთან, უზრუნველყოს, რომ სასამართლო იყოს ეფექტური, სამართლიანი და დამოუკიდებელი, სამართლიანობის პრინციპი მოქმედებდეს უნივერსალურად, ამასთან, უზრუნველყოს ისეთი ეროვნული კანონმდებლობის მიღება, რომელიც აღადგენს სამართლიანობას ომის, გენოციდის და კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების მსხვერპლთათვის.

საანგარიშო პერიოდში კოალიციის წევრი ორგანიზაციების მორიგი ფართომასშტაბიანი შეხვედრა გაიმართა სამხრეთ აფრიკაში, რომელსაც საიას წარმომადგენელი ესწრებოდა.

საიას მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესში

საიას საწესდებო მიზნების მიღწევის ერთ-ერთ საშუალებას საკანონმდებლო პროცესში მისი მონაწილეობა წარმოადგენს. აღნიშნული საქმიანობა ხორციელდება, ერთი მხრივ, პარლამენტში ინიცირებულ

კანონპროექტებზე სამართლებრივი დასკვნების მომზადების გზით, ხოლო მეორე მხრივ პარლამენტისთვის საკანონმდებლო წინადადებების სახით, პრობლემური საკითხების ახალი ან დამატებითი რეგულირების შეთავაზებით. კანონპროექტების მიუკერძოებელი, დამოუკიდებელი, ექსპერტული შეფასებებით საია ცდილობს, ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიაში მყოფი კანონების შემუშავებას პარლამენტის მიერ.




მოცემული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩებოდა საქართველოს პარლამენტის მუშაობის სწრაფი ტემპი, საკანონმდებლო პროცედურების დარღვევის ცალკეული შემთხვევები და ა.შ. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საიამ საქართველოს პარლამენტს 23 კანონპროექტთან დაკავშირებით წარუდგინა სამართლებრივი დასკვნა, რომელთა შორის შეიძლება გამოიყოს რამდენიმე:

1. კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“;
2. „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“;
3. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“;
4. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“;
5. „პატიმრობის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;
6. „საპარტნიორო ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი;
7. „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“;
8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“;
9. საქართველოს კანონის „თავისუფლების ქარტიის პროექტი“;
10. „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტი;
11. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
12. „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“;
13. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პროექტი თანდართული პაკეტით.

უმეტეს შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტი არ ითვალისწინებდა საიას რეკომენდაციებს, მათი დასაბუთებულობის მიუხედავად. თუმცა, აღნიშნული დასკვნებისა და საიას მოსაზრებების მიმართ, ტრადიციულად, დიდ ინტერესს იჩენდნენ მედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში წარდგენილი 23 დასკვნიდან საქართველოს პარლამენტმა 2 სრულად გაითვალისწინა, 4 – ნაწილობრივ, ხოლო 17 საერთოდ არ გაითვალისწინებია.

საიას დასკვნების გათვალისწინების სტატისტიკა პროცენტულად ასე გამოიყურება:



საქართველოს პარლამენტის მიერ გათვალისწინებული რეკომენდაციები:

1. „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებები. საიას რეკომენდაციით, სასამართლოს შენობების შესასვლელიდან 20 მეტრის რადიუსში შეკრების ან მანიფესტაციის ბლანკეტური აკრძალვის ნაცვლად, განისაზღვრა, რომ სასამართლო, საზოგადოებრივი ინტერესის, არსებული გარემოებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, დააწესებს ასეთ შეზღუდვას კანონით დადგენილი 20 მეტრის ფარგლებში. საიას რეკომენდაციის შედეგად, პროკურატურის თანამშრომლებს არ ეკრძალებათ შეკრებასა ან მანიფესტაციაში მონაწილეობა. კანონპროექტის იმ ნორმაში, რომლითაც შეკრების ან მანიფესტაციის მონაწილეებს ეკრძალებოდათ ისეთი საგნის ან ნივთიერების ქონა, რომელიც საფრთხეს უქმნის სხვა პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, დამატებით მიეთითა ნივთების ქონის მიზანი – სხვა პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენება. საიას მოსაზრება ნაწილობრივ გაზიარებულ იქნა და 11² მუხლს დაემატა ფორმულირება, რომლის მიხედვითაც, შეკრების ან მანიფესტაციის შეზღუდვა დაუშვებელია, თუ მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრები და საქმიანობის განმახორციელებელი პირების უფლებები „დროის მცირე მონაკვეთში“ იზღუდება. საიას მოთხოვნით, ამოღებულ იქნა „შეურაცხყოფელი ქმედებების განხორციელება“ ისტორიული, არქეოლოგიური, არქიტექტურული ან/და სამეცნიერო მნიშვნელობის მქონე შენობა/ნაგებობების, ძეგლისა და მემორიალის მიმართ. იგი ჩანაცვლებულია „სხვაგვარი ხელყოფით“. საიას მოსაზრების გათვალისწინებით, კანონპროექტის მე-13 მუხლიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი, რომლის მიხედვით, სამართალდამცავ ორგანოს, კანონის ცალკეული მოთხოვნების არამასობრივი დარღვევისა და ტრანსპორტის სავალი ნაწილის კანონის საწინააღმდეგოდ გადაკეტვის შემთხვევაში, შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტისა და მისი მონაწილეების დაშლის შესაძლებლობას აძლევდა. მითითებულ შემთხვევაში, სამართალდამცავ ორგანოს მხოლოდ დარღვევის აღმოფხვრის ან/და ტრანსპორტის მოძრაობის აღდგენის უფლებამოსილება რჩება და არა – შეკრების ან მანიფესტაციის შეწყვეტის. საიას მოთხოვნის შედეგად, ასევე დაზუსტდა, რომ 15 წუთიან ვადაში ორგანიზატორს ეკისრება ვალდებულება, გააკეთოს შესაბამისი მოწოდება, ხოლო დარღვევების აღმოფხვრა უნდა მოახდინოს გონივრულ ვადაში.

2. „საქართველოს მოქალაქეთა პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლად აღიარებისა და რეპრესირებულთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები. საიას რეკომენდაციით, კანონში დაზუსტდა ფულად კომპენსაციაზე უფლებამოსილი პირის ცნება და იმ გარემოებების ჩამონათვალი, რომელთა მხედველობაში მიღებითაც სასამართლო განსაზღვრავს კომპენსაციის ოდენობას.

3. „საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში“ შეტანილი დამატებები. საიას რეკომენდაციით, ნათლად განისაზღვრა რეპრესირებულთათვის, დამთავრებული საქმეების შემთხვევაში, სასამართლოსთვის ხელახლა მიმართვის შესაძლებლობა.

4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი ცვლილებები. გაზიარებულ იქნა საიას რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, შესყიდვის არაკონკურენტული საშუალება – გამარტივებული შესყიდვა – კანონში მითითებული შემსყიდველების მიერ გამოყენებულ იქნება არა ნებისმიერ შემთხვევაში, 50000 ლარის ლიმიტის ფარგლებში, არამედ მხოლოდ მაშინ, თუ შესყიდვა დაკავშირებულია „თავდაცვასთან, უშიშროებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან“.

5. „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში შეტანილი დამატება. საიას რეკომენდაციით, კანონმდებელმა თანამდებობის პირებს მიაკუთვნა არა მხოლოდ სახელმწიფო მინისტრი და მისი მოადგილე, არამედ „სახელმწიფო მინისტრის აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელი, აგრეთვე, მასთან გათანაბრებული პირი“, რომელთა რაოდენობაც, დღევანდელი მდგომარეობით, 17-ს შეადგენს.

6. ცალკე აღნიშვნის ღირსია „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებები. მედიის სამართლებრივი დაცვის ცენტრისა და საპარლამენტო მდივნის საქმიანობის ერთ-ერთ წარმატებად

უნდა ჩაითვალოს მიმდინარე წელს „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მედიამფლობელების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის კუთხით. საია აქტიურად მონაწილეობდა კანონპროექტების განხილვის ყველა ეტაპზე და მომზადდა შესაბამისი დასკვნა. საქართველოს პარლამენტის მიერ გათვალისწინებულ იქნა ისეთი საკითხები, როგორცაა ოფშორულ ზონაში რეგისტრირებულ პირთა თუნდაც 10%-იანი მფლობელობის დაუშვებლობა, ბენეფიციარი მესაკუთრის ცნების სრულყოფილად ჩამოყალიბება და ა.შ. 2011 წლის 3 აპრილს პარლამენტის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში განხორციელებული ცვლილებები და დამატებები სამოქალაქო საზოგადოების მიერ შეფასებულ იქნა სამოქალაქო საზოგადოების აქტივობის წარმატებად.

საკანონმდებლო წინადადება

საანგარიშო პერიოდში საიამ საქართველოს პარლამენტს წარუდგინა მხოლოდ ერთი საკანონმდებლო წინადადება, რომელიც გულისხმობს „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონში ცვლილებების განხორციელებას იმგვარად, რომ დევნილის სტატუსის მოპოვება შეძლონ უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობის, ანუ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებმაც. გარდა ამისა, კანონის ცალკეული ნორმების ახლებური ფორმულირება შეწყვეტილი სტატუსის აღდგენის საფუძვლებად დამატებით ასახელებს პირის მიერ საქართველოს მოქალაქეობის მიღებას ან უცხო ქვეყნის მოქალაქეობასთან ერთად საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას. საქართველოს პარლამენტს აღნიშნული საკანონმდებლო წინადადება ამ დრომდე არ განუხილავს. მომდევნო საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საია გეგმავს საკანონმდებლო წინადადებების მომზადების მიმართულებით მუშაობის გაძლიერებას და პარლამენტისთვის პროაქტიულად ახალი იდეების შეთავაზებას ისეთ სფეროებში, როგორცაა: სასამართლო სისტემა, მედია, გამჭვირვალობა, შრომის სამართალი.



საიას დასკვნებისა და საკანონმდებლო წინადადებების გაცნობა შესაძლებელია სპეციალურად შექმნილ ბაზაში შემდეგ მისამართზე: www.gyla.ge/legislature

უფრო მეტად ინფორმირებული და ეფექტური პოლიტიკა მშვიდობასთან, უსაფრთხოებასა და სტაბილურობასთან დაკავშირებით

დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და უსაფრთხო მსოფლიო ახორციელებენ პროგრამას, რომლის მიზანია, დავეხმაროთ ფართო საზოგადოებას ოთხ სამიზნე რეგიონში (სამეგრელო, შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი), გააანალიზოს და დაგეგმოს მშვიდობასთან, უსაფრთხოებასა და სტაბილურობასთან დაკავშირებული საკითხები. პროექტის მიზანია, ასევე, ხელი შეუწყოს უფრო მეტად კონსტრუქციულ დისკუსიებს ფართო საზოგადოების

წარმომადგენლებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის.

აღნიშნული მიზნების მისაღწევად ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ რეგიონში შეიქმნა 10-15 წარმომადგენლისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა გარკვეული გამოცდილების მქონე პირებისგან კონფლიქტის საკითხებზე მუშაობის მიმართულებით და, ასევე, სხვადასხვა პროფესიის და სფეროს წარმომადგენლებისგან. წლის განმავლობაში მათ უტარდებოდათ ტრენინგები კონსულტაციების წარმოების, ინფორმაციის მოძიებისა და გაანალიზების, აგრეთვე, საჯარო გამოსვლების უნარების გაღრმავებაში. ჯგუფების წევრები თავიანთ რეგიონებში კონსულტაციებს ეწეოდნენ ფართო საზოგადოების წარმომადგენლებთან ისეთ გამოწვევებზე, როგორცაა მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა. პროცესი, ასევე, ითვალისწინებდა შეხვედრებს ოთხი რეგიონის წარმომადგენლებს შორის მათი რეგიონების პერსპექტივების ანალიზისა და სტრატეგიების განხილვის მიზნით.

ზემოაღნიშნული პროცესის შედეგად, ჯგუფებმა შეიმუშავეს ეროვნული სტრატეგია, რომელშიც ხაზგასმულია ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი საკითხები და თითოეული საკითხი განხილულია მშვიდობის, უსაფრთხოების და სტაბილურობის კუთხით მისი მნიშვნელობის მიხედვით, ასევე, გაანალიზებულია მათი გავლენის მასშტაბები ეროვნულ დონეზე, წარმოდგენილია გამომწვევი მიზეზები და რეკომენდაციები მათი გადაჭრისათვის.

შემუშავებული სტრატეგიების საფუძველზე ჩატარდა ხუთი საჯარო დისკუსია თემაზე – „ერთად დავეგეგმოთ მშვიდობა“, რომელმაც მთავრობისა და საზოგადოების წარმომადგენლებს საშუალება მისცა, გაეზიარებინათ მიდგომები მთავარ გამოწვევებზე, როგორცაა მშვიდობა, უსაფრთხოება და სტაბილურობა საქართველოში და დაეგეგმათ ეფექტურად მართვის ღონისძიებები.

თითოეული დისკუსია ფოკუსირებული იყო კონკრეტულ საკითხზე, რომელიც, ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი იყო იმ რეგიონისათვის. ესენია:

შიდა ქართლი: ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა ადმინისტრაციული ზოლის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობისათვის.


სამცხე-ჯავახეთი: რეგიონების ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა.

ქვემო ქართლი: ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

სამეგრელო: ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს შორის დიალოგის შესაძლებლობისა და უფრო მეტი კონტაქტის დამყარებასთან დაკავშირებული გამოწვევები.

დისკუსიებში მონაწილეობდნენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. თითოეულ დისკუსიაზე გადაღებულ იქნა ფილმები და მათი ჩვენება მოხდა ადგილობრივი ტელევიზიების მეშვეობით.

საჯარო დისკუსიის – „ერთად დავეგეგმოთ მშვიდობა“ დასკვნითი შეხვედრა ჩატარდა თბილისში, აღნიშნულ შეხვედრას ესწრებოდნენ საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების, ასევე, პოლიტიკური პარტიებისა და სახელმწიფო სტრუქტურების




წარმომადგენლები. შეხვედრა გახსნა დიდი ბრიტანეთის ელჩმა საქართველოში ჯუდიტ გოფმა. მონაწილეებმა განიხილეს როგორც პროექტის ფარგლებში შემუშავებული სტრატეგია, ასევე, რეგიონებში ჩატარებული დისკუსიის შედეგები.

პროექტის ფარგლებში ასევე მომზადდა და გამოიცა ბროშურა „ავვისტოს ომის შედეგები: ვინ რას აკეთებს ამასთან დაკავშირებით და როგორ აისახება ეს ადამიანების ცხოვრებაზე“. ეს ბროშურა აღწერს წამყვან მოთამაშეთა პოლიტიკასა და სამოქმედო გეგმებს და ამ უკანასკნელთა გავლენას რიგითი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე. აღნიშნული გამოცემა გავრცელდა სამიზნე რეგიონებში და მას პოზიტიური გამოხმაურება მოჰყვა.

მოქალაქეთა ჩართულობის ხელშეწყობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ადგილობრივ დონეზე

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია პარტნიორ ორგანიზაციასთან – სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED) – ერთად საქართველოს 63 მუნიციპალიტეტსა და თვითმმართველ ქალაქში ახორციელებდა აქტიური მოქალაქეებისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ცნობიერების ამაღლების კამპანიას. აღნიშნული საქმიანობა მიზნად ისახავდა, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების მონიტორინგის გზით, მოქალაქეებისა და ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების უნარ-ჩვევების გაზრდას, ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურებას საკუთარი პრობლემების მოგვარების პროცესში ჩართულობით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერებას, ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემების აღმოფხვრის პროცესში პოლიტიკური პარტიების/სუბიექტების როლის გაზრდას.

საანგარიშო წელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენელთათვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: მოქალაქეთა ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში, ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციები და საბიუჯეტო პროცესები. საერთო ჯამში, საქართველოს 63 მუნიციპალიტეტიდან ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივი თვითმმართველობის 1022-მა წარმომადგენელმა.



ტრენინგების მონაწილეებისათვის ყველაზე საინტერესო საკითხები პროცენტულად ასე გადანაწილდა: ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ტრენინგები დადებითად შეაფასეს და აღნიშნეს, რომ მსგავსი სახის ტრენინგები ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ახლად არჩეული საკრებულოს წევრების უნარ-ჩვევების გაზრდას, არამედ მოსახლეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის ურთიერთთანამშრომლობასაც.

მოქალაქეების გააქტიურებისა და მათი თვითმმართველობის საქმიანობის მონიტორინგში ჩართულობის მიზნით, განხორციელდა რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა. საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 15 სასწავლო ტური, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 251-მა აქტიურმა მოქალაქემ და 36-მა ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციამ. სასწავლო ტურის მიზანი იყო ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გაცნობა და აქტიური მოქალაქეებისათვის გამოცდილების გაზიარება.

საანგარიშო წელს გამოცხადდა სტატიათა კონკურსი, რომლის ფარგლებში მოქალაქეების მიერ დაიწერა 48 სტატია თემებზე – „მე და ჩემი თვითმმართველობა“, „თვითმმართველობა ხალხის სამსახურში?!“ „მე რომ ვიყო საკრებულოს წევრი“. კონკურსის შედეგად გამოვლინდა 7 საუკეთესო სტატიის ავტორი. პროექტში ჩართული აქტიური მოქალაქეების ინიციატივით, თვითმმართველ ქალაქ ბათუმში გაიმართა ფოტოგამოფენა. გამოფენილ იქნა ქ. ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტში აქტიური მოქალაქეების მიერ გადაღებული ფოტოები, რომლებზეც ასახული იყო ადგილობრივი პრობლემები. მოგვიანებით, აქტიურმა მოქალაქეებმა არსებული პრობლემები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ შესრულებული სამუშაოები ფოტოებზე აღბეჭდეს საქართველოს სხვა რეგიონებშიც, რითაც ერთგვარი ფოტომონიტორინგი განხორციელდა.



ადგილობრივი თვითმმართველობის მონიტორინგი. ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის გამჭვირვალობისა და მათი ანგარიშვალდებულების გაზრდის ხელშეწყობის მიზნით, მოქალაქეებმა, საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნისა და საკრებულოს სხდომებზე დასწრების გზით, განხორციელეს ადგილობრივი თვითმმართველობების საქმიანობის მონიტორინგი. პროცესი მოიცავდა როგორც პროექტის მიმდინარეობისას იდენტიფიცირებული პრობლემების, ასევე, 2009 წელს პროექტის – „დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარება საქართველოში სამართლიანი საარჩევნო პროცესისა და აქტიური სამოქალაქო მონაწილეობისათვის“ – ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან დადებული დაპირებების შესრულების მონიტორინგსაც. შედეგად, დადგინდა, რომ სულ 38 დაპირებიდან მოგვარდა 22 საკითხი, ნაწილობრივ შესრულდა 6 დაპირება და არ შესრულებულა 10.

პროექტის ფარგლებში აქტიური მოქალაქეები წერილობით მიმართავენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს და სთხოვენ მათ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მოგვარებას. შედეგად, ადგილობრივი მოსახლეობისა და აქტიური მოქალაქეების მიერ თვითმმართველობის წინაშე წარდგენილი პრობლემებიდან 43 უკვე მოგვარდა, ხოლო 65 საკითხთან დაკავშირებით მიღებულია დაპირება მათი სამომავლოდ გადაჭრის თაობაზე.

გადაჭრილი პრობლემების კლასიფიკაცია და სტატისტიკა ასე გამოიყურება:


- საქართველოს ხუთ მუნიციპალიტეტში განხორციელდა გზის რეაბილიტაცია და მოგვარდა სანიტარიულ-ჰიგიენური პრობლემები (საყოფაცხოვრებო ნარჩენების დროულად გატანა და შესაბამისი ავტომანქანებისა და ურნების დამატება);




- ოთხ მუნიციპალიტეტში განხორციელდა წყალსადენისა და საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია;
- სამ მუნიციპალიტეტში სოციალური დახმარება გაეწია ადგილობრივ მოსახლეს;
- ორ მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი თვითმმართველობის ძალისხმევით, მოგვარდა გარე განათების პრობლემა; დადებითად გადაწყდა ინდივიდუალური გამრიცხველიანების საკითხები; განხორციელდა სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ჯგებიერების გამაგრების სამუშაოები; 2011 წლის ბიუჯეტში მოხდა თანხების გათვალისწინება სკოლის შენობის შეღობვისა და ქალაქის სკვერის რეაბილიტაციისათვის; აქტიურ მოქალაქეთა შენიშვნების გათვალისწინებით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან არამიზნობრივი ხარჯები ამოიღეს;
- სხვადასხვა მუნიციპალიტეტში განხორციელდა ასევე შემდეგი აქტივობები: წყლის ხარისხის შემოწმების სამუშაოები; ხიდის რეაბილიტაცია; ბიბლიოთეკის დაფინანსების გაზრდა; დამატებითი ტრანსპორტის დანიშვნა; კულტურის სახლის რეაბილიტაცია; ხევის გაწმენდითი სამუშაოები; ამბულატორიის რეაბილიტაცია; საბავშვო ბაღისა და მისი მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; სკოლის სპორტული მოედნის რეაბილიტაცია; მოსახლეობის დროული ინფორმირება საკრებულოს სხდომების ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ.



მიღწეული შედეგები



დაპირებები



პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობებისა და მიღწეული შედეგების, ასევე ადგილობრივი მონიტორინგის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით, გადაღებულ იქნა 3 მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი.

პროექტის შედეგებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებულმა აქტივობებმა თავისი ფუნქცია შეასრულა და საქართველოს ყველა რეგიონში საზოგადოების გარკვეული ნაწილი საკუთარი პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრის უნარით აღჭურვა, ხოლო თვითმმართველობების წარმომადგენლებს საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებისაკენ უბიძგა. აქტიურობისა და თანამშრომლობისათვის, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისა და სამართლიანი არჩევნების მიერ, 18 ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო და 43 აქტიური მოქალაქე დაჯილდოვდა.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული 25 პროექტიდან საიასა და სამართლიანი არჩევნების მიერ განხორციელებულმა პროექტმა განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა და ერთ-ერთ საუკეთესოდ დასახელდა. შეფასებისას აღინიშნა, რომ, პრაქტიკული თვალსაზრისით, „ხალხის მანიფესტა“ შეძლო, შეესრულებინა მთავარი მიზანი და ამოცანა – ხელი შეეწყო ინკლუზიური გადაწყვეტილების მიღების პროცესებისათვის ადგილობრივ დონეზე, აემალღებინა მოქალაქეთა ჩართულობის შესაძლებლობა ადგილობრივი თვითმმართველობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში და დაენერგა მოქალაქეთა მხრიდან მონიტორინგის ტრადიცია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაში.

საიას საქმიანობა საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით

2010 წლის ნოემბერში, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით, შეიქმნა საარჩევნო კოდექსის გაუმჯობესებაზე მომუშავე მრავალპარტიული ჯგუფი, რომელიც საარჩევნო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრაზე მუშაობდა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სამ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად – სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება (ISFED), საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო (TI Georgia) და ახალი თაობა – ახალი ინიციატივა (NGNI) – აკვირდებოდა ჯგუფის მოლაპარაკების პროცესს და, არჩევნების მონიტორინგით მიღებული გამოცდილების საფუძველზე,

შემთხვევითი პრინციპით შერჩეულ პროცესებს. დღის განმავლობაში თითო მონიტორი ესწრებოდა საშუალოდ 5-6 პროცესს. ორი თვის განმავლობაში მონიტორები დაესწრნენ დაახლოებით 540 სასამართლო პროცესს. შევსებული კითხვარების გაანალიზება და შეფასება განხორციელდა მოსამზადებელ ეტაპზე შემუშავებული სახელმძღვანელო პრინციპების (სტანდარტები საერთაშორისო და ქართული კანონმდებლობის მიხედვით) შესაბამისად. კერძოდ, შეფასდა საჯარო განხილვის უფლება, კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს უფლება, გამოძიების დროს ადვოკატთან საუბრის უფლება და დაცვის მოსამზადებლად საკმარისი დროისა და საშუალების ქონის უფლება; მხარეთა თანასწორობა და შეჯიბრებითობა; სწრაფი მართლმსაჯულების უფლება; სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების უფლება თავისუფლების ხელშეუხებლობის უფლებასთან კავშირში და ა.შ.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის ცალკეული პრინციპების დარღვევის შემთხვევები, კერძოდ, საჯარო განხილვის უფლების დარღვევის ფაქტები, მიუკერძოებლად საქმის განხილვის უფლებისა და თარჯიმნის ყოლის უფლების დარღვევა. სასამართლო პროცესების უმრავლეს შემთხვევაში დაფიქსირდა მოსამართლეთა მხრიდან დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობების (მათ შორის, მოწმეთა დაკითხვის შესახებ) დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ტენდენცია.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქმეთა უმეტესობაში აღკვეთის ღონისძიების სახით ხდებოდა დაპატიმრების შეფარდება, სადაც არც მოსამართლე და არც პროკურორი არ ასაბუთებდა, თუ რატომ არის საჭირო პატიმრობის, და არა სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, გამოყენება კონკრეტული პირის მიმართ.

მონიტორინგის პილოტური ფაზის შემდეგ გადაიხედა და დაიხვეწა მონიტორინგის მეთოდოლოგია და კითხვარები. ამჟამად მიმდინარეობს სასამართლო მონიტორინგის მეორე ეტაპი.

საქართველოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ანალიზი

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ განხორციელა რამდენიმე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სამართლებრივი ანალიზი. კვლევაში განხილულ იქნა ძირითადად 2009 წლის გაზაფხულზე საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში დაკავებულ/დაპატიმრებულ პირთა საქმეები. აღნიშნული კვლევის განხორციელების აუცილებლობა სწორედ მას შემდეგ დავინახეთ, რაც საზოგადოებასა და საერთაშორისო წრეებში აქტიურად დაიწყო საუბარი საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არსებობის შესახებ. საქმეების შერჩევისას, გათვალისწინებულ იქნა საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი კონკრეტული საქმის მიმართ, ასევე, სისხლის სამართლებრივი დევნის თუ ადმინისტრაციულ სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესაძლო პოლიტიკური მოტივი.

კვლევის მიზანი იყო კონკრეტული საქმის შესწავლა და იმის დადგენა, თუ რა მოცულობით შეეძლო, გავლენა მოეხდინა პოლიტიკურ მოტივს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო განხილვაზე. აღნიშნული განხორციელდა იმის შეფასებით, იყო თუ არა დაცული შესაბამისი საპროცესო და მატერიალური სამართლებრივი ნორმები.

კვლევისათვის შერჩა 24 საქმე, აქედან – 6 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და 18 სისხლის



სამართლის საქმე. საქმეების შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა რეგიონული პრინციპიც. თერთმეტ სისხლის სამართლის საქმეში ძირითად ბრალდებას ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობა წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ აღნიშნულ პერიოდში იმატა მოცემული ბრალდებით საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა და ოპოზიციის აქტივისტების დაკავების ფაქტებმა. დანარჩენი საქმეები კვლევისათვის საინტერესო აღმოჩნდა თავად დაკავებულის ცნობადობის ან მისი პარტიულობის, ასევე, დაკავებულის უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური აქტივობის გამო.

კვლევაში განხილული საქმეების სამართლებრივმა ანალიზმა გამოავლინა სერიოზული ხარვეზები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას იმ პირთა მიმართ, რომლებიც, საკუთარი ან უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური საქმიანობის ან საზოგადოებრივი აქტივობის გამო, ხელისუფლების შესაძლო ოპონენტებად შეიძლება ჩაითვალოს. აღნიშნულს ხელს უწყობს როგორც საკანონმდებლო ხარვეზები, ასევე საპროცესო კანონმდებლობის არასწორი განმარტება და დადგენილი მავნე პრაქტიკა. განხილულ საქმეებში ნებისმიერი ეჭვი, გამოწვეული საკანონმდებლო ხარვეზით ან საკმარის მტკიცებულებათა არარსებობით, როგორც წესი, განმარტებულია დაკავებულის, ბრალდებულის ან განსასჯელის წინააღმდეგ. საგამოძიებო ორგანოების თვითნებობას სათანადო კონტროლს ვერ უწევს და ბრალდების პოზიციას ყოველგვარი განსჯის გარეშე იზიარებს სასამართლო ხელისუფლება, რომლის როლი მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში უკიდურესად შემცირებულია.

კვლევის პრეზენტაცია გაიმართა მიმდინარე წლის ივნისში. პრეზენტაციას ესწრებოდნენ საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის, ასევე, ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები და ა.შ. ანგარიშის გამოქვეყნებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი ორგანიზაციების და საზოგადოების წარმომადგენელთა მხრიდან.



აღსანიშნავია, რომ საიამ უკვე დაიწყო იმავე ტიპის კვლევის განხორციელება 2011 წლის 26 მაისთან დაკავშირებული მოვლენების გამო დაკავებულ პირებთან მიმართებით.

კვალიფიციური, უწყვეტი იურიდიული განათლება და პროფესიის განვითარება

ახალგაზრდა იურისტების პროფესიული დაოსტატება, იურიდიული პროფესიის განვითარება და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი იურიდიული და სამოქალაქო განათლების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა იყო და რჩება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიმართულებად. საია გასულ საანგარიშო პერიოდშიც აქტიურად განაგრძობდა საგანმანათლებლო საქმიანობას ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე. ახალგაზრდობისთვის ალტერნატიული, განგრძობადი იურიდიული განათლება, სპეციფიკური უნარ-ჩვევების (კონსტრუქციული დებატი, სასამართლოში იურისტის გამოსვლის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, სამართლებრივი წერის უნარ-ჩვევები, იურიდიული დოკუმენტების მომზადების ტექნიკა) განვითარების ხელშეწყობა, მიზნობრივი ტრენინგებისა და საჯარო დისკუსიების ორგანიზება და მუდმივი სიახლეები საინფორმაციო, საგამომცემლო კუთხით – ეს არის ის საქმიანობა, რომელსაც იურიდიული პროფესიით დაინტერესებულ პირებს სთავაზობს საიას იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრი და საიას მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი.

ფონდი და სასწავლო ცენტრი საანგარიშო პერიოდში შემდეგი მიმართულებით საქმიანობდნენ:

- თბილისში ყოველწლიური 6 თვიანი სასწავლო კურსები სამართლის ყველა მიმართულებით;
- სასწავლო კურსები ქუთაისში, ახალციხესა და ბათუმში;
- საპარლამენტო დებატების შიდა და ეროვნული ტურნირების უზრუნველყოფა ბათუმის, გორის, ქუთაისის, თელავისა და თბილისის მასშტაბით;
- ოლიმპიადის – „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“ – ორგანიზება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში;
- იმიტირებული სასამართლო პროცესების ორგანიზება საქართველოს უზენაეს სასამართლოში;
- სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზება როგორც საიას იურიდიული დახმარების ცენტრის იურისტების, ასევე, ადვოკატებისა და ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფისთვის;
- საჯარო დისკუსიების ორგანიზება მნიშვნელოვან სიახლეებსა და პრობლემატურ საკითხებზე;
- იურიდიული სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება;
- ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება უახლესი იურიდიული ლიტერატურით;
- სახელმძღვანელოების გამოცემა.

სასწავლო შურსები

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს 6 თვიანი სასწავლო კურსების ფუნქციონირებას. 2010-2011 სასწავლო წელს ფონდს სულ 200-მა სტუდენტმა მიმართა. აქედან, კონკურსის საფუძველზე შეირჩა მხოლოდ 80 სტუდენტი, რომლებიც 6 თვის განმავლობაში ეუფლებოდნენ ცოდნას შემდეგი მიმართულებით:

- შესავალი სამართალში
- სამოქალაქო სამართალი
- სისხლის სამართალი
- საერთაშორისო სამართალი

სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ საბოლოო გამოცდაზე დაიშვა 70 სტუდენტი. აქედან, 35-მა დაიმსახურა საიასა და ფონდის ერთობლივი დიპლომი, ხოლო დანარჩენებს სერტიფიკატები გადაეცა.



სასწავლო პროცესის მიწურულს ფონდმა, ტრადიციისამებრ, ორგანიზება გაუკეთა იმიტირებულ სასამართლო პროცესებს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, რომელშიც ფონდის სტუდენტები მონაწილეობდნენ. პროცესებს აფასებდა ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ მოსამართლეები, ადვოკატები, საჯარო სამსახურის წარმომადგენლები და დარგის სპეციალისტები.

სასწავლო კურსები, თბილისის გარდა, მიმდინარეობდა ბათუმში, ქუთაისსა და ახალციხეში, სადაც სტუდენტების საერთო რაოდენობამ 75 შეადგინა. რეგიონებში კურსებზე მიწვეულ იყვნენ როგორც ადგილობრივი, ისე თბილისიდან წარგზავნილი მაღალკვალიფიციური ექსპერტები.

დებატების ხელოვნება

ფონდის პრიორიტეტად კვლავ რჩება იურისტ-სტუდენტების დახელოვნება კონსტრუქციულ დებატებში. საანგარიშო პერიოდში ფონდი თბილისისა და საქართველოს 5 რეგიონის მასშტაბით ორგანიზებას უწევდა დებატების კურსებს, რომელთა მეშვეობით სტუდენტები ეუფლებოდნენ კონსტრუქციული კამათის ხელოვნებას, დებატის კულტურას, სწრაფი აზროვნებისა და ანალიზის უნარის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, იურიდიულ და გლობალურ საკითხებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიღებასა და დამუშავებას.

მაისის დასაწყისში ფონდმა ორგანიზება გაუკეთა დებატების შიდა ტურნირებს და გამოავლინა როგორც გამარჯვებული გუნდები, ასევე საუკეთესო მოდებატები. ხოლო მაისის ბოლოს, ტრადიციისამებრ, თბილისში ჩატარდა დებატების ეროვნული ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს გამარჯვებულმა გუნდებმა როგორც თბილისიდან, ასევე რეგიონებიდან. მონაწილეები დებატობდნენ შემდეგ პრობლემატურ საკითხებზე: ეროვნული უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსები.

საუკეთესო მოდებატეებსა და გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ სხვადასხვა სახის სამართლებრივი ლიტერატურა და ფასიანი საჩუქრები. წელს ეროვნულ ტურნირში გამარჯვებულად გამოვლინდა საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდის შესავალი სამართლის გუნდი.

ოლიმპიადა „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“

საიას სწავლების ცენტრმა წელსაც არ უღალატა ტრადიციას და, იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდთან ერთად, საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის გერმანული ფონდის (IRZ) ფინანსური მხარდაჭერითა და საკონსტიტუციო სასამართლოსთან თანამშრომლობით, ორგანიზება გაუკეთა ოლიმპიადას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში – სახელწოდებით „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“.

ოლიმპიადაში მონაწილეობის სურვილი საქართველოს მასშტაბით ასმა გუნდმა გამოთქვა. სამწუხაროდ, ნაკლები დაინტერესება იყო რეგიონებიდან და განმცხადებელთა 99%-ს თბილისის სასწავლებლის გუნდები შეადგენდნენ. წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების საფუძველზე, შეირჩა 8 გუნდი: 7 თბილისიდან და 1 ბათუმიდან.

10-12 დეკემბერს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში გაიმართა როგორც შესარჩევი რაუნდები, ასევე ნახევარფინალი და ფინალი. იმიტირებულ პროცესებს თავმჯდომარეობდა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი ქეთევან ერემაძე, ხოლო სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდნენ დარგის სპეციალისტები და გერმანელი მოსამართლე.

ოლიმპიადა 12 დეკემბერს საზეიმო ვითარებაში დაიხურა. მონაწილეებს სიტყვით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ გიორგი პაპუაშვილმა და საუკეთესო საკონსტიტუციო სამართლის მკვლევს, თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის მონაწილეს, გადასცა საკონსტიტუციო სასამართლოს სპეციალური პრიზი. ასევე თსუ-ს გუნდის მონაწილემ დაიმსახურა დონორის – IRZ-ის სიმპათიის პრიზი. იგი საქართველოს დელეგაციასთან ერთად 1 კვირით გაემგზავრა გერმანიაში და მონაწილეობა მიიღო სასამართლოებსა და ოფიციალურ დაწესებულებებში დაგეგმილ შეხვედრებში.



მონაწილეებს გადაეცათ IRZ-ისა და საიას ერთობლივი სერტიფიკატები. ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა კავკასიის სამართლის სკოლის გუნდი, რომელსაც გადაეცა გარდამავალი თასი წარწერით „ახალგაზრდა იურისტები კონსტიტუციური უფლებებისათვის“. ოლიმპიადის ყველა მონაწილეს, როგორც საიამ, ასევე საკონსტიტუციო სასამართლომ და IRZ-მ საჩუქრად გადასცეს სხვადასხვა სამართლებრივი ლიტერატურა და ფასიანი საჩუქრები.

საჯარო დისკუსიები

საანგარიშო პერიოდში იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდმა გააძლიერა ახლად დამკვიდრებული ტრადიცია – პერიოდული საჯარო დისკუსიები სხვადასხვა პრობლემატურ საკითხსა და საკანონმდებლო სიახლეზე. საჯარო დისკუსიებში მონაწილეობდნენ საიას წევრები, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული პირები.



საანგარიშო პერიოდში ფონდის ორგანიზებით ჩატარდა საჯარო დისკუსიები შემდეგ თემებზე:

- რუსეთის ფედერაციიდან საქართველოს მოქალაქეების მასობრივ დეპორტაციასთან დაკავშირებული სახელმწიფოთაშორისი დავა საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის;
- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში;
- კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუშვებლობით წარმოშობილი სახელმწიფო დავალიანება.

დისკუსიებზე ექსპერტების სტატუსით მონაწილეობდნენ სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები, დამოუკიდებელი ექსპერტები და ა.შ. ექსპერტების მიერ საკუთარი პოზიციების წარმოდგენის შემდეგ იმართებოდა დისკუსია, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ მოწვეული სტუმრები, მათ შორის, ფონდის სტუდენტები

სემინარები და ტრენინგები

საია კვლავ აგრძელებს საკუთარი თანამშრომლებისა და ინტერესთა სხვადასხვა ჯგუფისათვის კვალიფიკაციის ამაღლების ტრადიციას საკანონმდებლო სიახლეებსა და პრობლემატურ იურიდიულ საკითხებზე.

2010 წლის ნოემბერში საიას იურიდიული დახმარების ცენტრის ადვოკატებისა და კონსულტანტებისათვის ჩატარდა ტრენინგი **სავადასახადო სამართალში**. სემინარში მონაწილეობა მიიღო საიას 20-მა თანამშრომელმა.

2011 წლის ივლისში საიას იურისტებისათვის ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი ახალ **სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან** დაკავშირებით, სადაც ექსპერტებად მოწვეულნი იყვნენ ABA-ს სერტიფიცირებული ტრენერები და პრაქტიკოსი იურისტები სისხლის სამართლის პროცესში. ტრენინგზე განხილულ იქნა კოდექსით გათვალისწინებული ყველა სიახლე და პრობლემატური საკითხი. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო საიას 25-მა სისხლის სამართლის ადვოკატმა და კონსულტანტმა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით სისხლის სამართლის ადვოკატების სხვადასხვა ჯგუფისათვის ჩატარდა ოთხი ტრენინგი თემაზე „არასათანადო მოპყრობის საჩივრებთან დაკავშირებული გამოძიების შესაბამისობა ევროპულ სტანდარტებთან“. სემინარებზე ექსპერტებად მოწვეულ იყვნენ საქართველოს სახალხო დამცველი, ევროპის საბჭოს ექსპერტი და ევროკავშირის პროექტის – „სახალხო დამცველის ოფისის მხარდაჭერა“ – გუნდის ხელმძღვანელი.



სწავლების ცენტრი მონაწილეთა შერჩევის საკითხში აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან. ოთხივე სემინარში მონაწილეობა მიიღო 140-მა ადვოკატმა და სისხლის სამართლით დაინტერესებულმა პირმა. აქედან, 40 ადვოკატი წარმოდგენილი იყო საქართველოს რეგიონებიდან.

ევროპის საბჭოს ფინანსური მხარდაჭერით, ასევე, გაიმართა 3 ტრენინგი თბილისსა და აჭარაში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სტუდენტებისათვის, თემაზე



„ადამიანის უფლებათა ევროპული სტანდარტები“. სამივე ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 75-მა პირმა.

საანგარიშო პერიოდში, OSGF-ის ფინანსური მხარდაჭერით, ორგანიზება გაუკეთდა ტრენინგს თემაზე „ადამიანის უფლებები პაციენტთა მზრუნველობის სფეროში“, რომელშიც მონაწილეობა მიიღო აღმოსავლეთ საქართველოს 25-მა მოსამართლემ, პროკურორმა და ადვოკატმა. ტრენინგზე ექსპერტებად მოწვეულნი იყვნენ ჯანდაცვის ექსპერტები, საქართველოში აივ პრევენციის პროექტის დირექტორი და საქართველოს ბიოეთიკის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე. განხილულ იქნა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა: ჯანდაცვის პოლიტიკა და ჯანდაცვასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ბაზა; ხარისხიანი ჯანდაცვა, არასათანადო პრაქტიკა და სამედიცინო შეცდომები; ექიმისა და პაციენტის ურთიერთობის ეთიკური და სამართლებრივი რეგულაციის ისტორიული წინაპირობები და თანამედროვე სამედიცინო ეთიკის და ბიოეთიკის ძირითადი პრინციპები; პაციენტთა უფლებები და მათი ასახვა საქართველოს კანონმდებლობაში; ექიმის პროფესიული საქმიანობის სამართლებრივი და ეთიკური რეგულაციების მექანიზმები.

საანგარიშო პერიოდში საერთაშორისო კვლევისა და გაცვლების საბჭოს (IREX) პროგრამის „ქართული მედია აძლიერებს დემოკრატიას, ანგარიშვალდებულებას და მოქალაქეების ინფორმირებულობას“ (G-MEDIA) ფინანსური მხარდაჭერით, ორგანიზება გაუკეთდა 2 ტრენინგს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ჟურნალისტებისათვის თემაზე: „გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში – არსებული პრობლემები და თანამედროვე გამოწვევები“.

ტრენინგზე განხილულ იქნა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა: გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების საერთაშორისო და კონსტიტუციური სტანდარტები; გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები; მაუწყებლები, პრესა და ინტერნეტმედია – განსხვავებული რეგულაციები; ლიცენზირება (ლიცენზირებას დაქვემდებარებული საქმიანობა, ლიცენზიის სახეები, მაუწყებლების საკანონმდებლო ვალდებულებები); მაუწყებელთა ქცევის კოდექსი, რეგულირების სფერო, კოდექსის სტრუქტურა; ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით განვითარებული ადმინისტრაციული და სასამართლო პრაქტიკა. ორივე ტრენინგში მონაწილეობა მიიღო 50-მა ჟურნალისტმა.

2011 წლის აპრილში ინფორმაციის თავისუფლების თემაზე 2 დღიანი ტრენინგი ჩატარდა ჟურნალისტების ფაკულტეტის სტუდენტებისათვის. ტრენინგში მონაწილეობდა 16 სტუდენტი 4 უნივერსიტეტიდან. მონაწილეებს მიეწოდათ ინფორმაცია საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის, გასაიდუმლოებისა და გასაჩივრების პროცედურების შესახებ.

იურიდიული განათლების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა

მეთოდები, რომლებიც მრავალი წელია გამოიყენება დასავლეთის უმაღლეს სკოლებში, ჯერ კიდევ სიახლედ რჩება ქართული სამართლებრივი საგანმანათლებლო ინსტიტუტებისათვის. ინტერაქტიული მეთოდები, პრაქტიკული შემთხვევები (ე.წ. „ქეისები“), პრობლემების გადაწყვეტა, სამართლებრივი ანალიზი, იურიდიული დოკუმენტის მომზადება წარმოსახვითი კლიენტისათვის – ეს მეთოდები, როგორც სასწავლო ინსტრუმენტები, ნაკლებად არის გამოყენებული, ან საერთოდ არ არის ცნობილი საქართველოში მოქმედი იურიდიული სასწავლებლებისთვის.

საიამ, დაფუძნების დღიდან, მიზნად დაისახა, საკუთარი რესურსითა და გამოცდილებით, დაეხმაროს უმაღლესი სასწავლებლების იურიდიულ ფაკულტეტებს სწავლების მეთოდოლოგიის დახვეწაში.

საანგარიშო პერიოდში საიამ ფინანსური მხარდაჭერისათვის მიმართა IRZ-ს, რომელმაც სრული მზადყოფნა გამოთქვა როგორც დაფინანსების, ასევე, ორგანიზაციულ-მინაარსობრივი ნაწილის მოგვარების თვალსაზრისით. ფონდმა, საიასთან პარტნიორობით, 2010 წლის დეკემბერში 10 ქართველ პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა მისცა, მონაწილეობა მიეღო სასწავლო ვიზიტში ქბონის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე.

სასწავლო ვიზიტში მონაწილეობდნენ თსუ-ს, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც იმავდროულად სხვა სასწავლებლებშიც კითხულობენ ლექცია-სემინარებს მიწვეული ექსპერტების სტატუსით.

სასწავლო ვიზიტის განმავლობაში ქართველი პროფესორ-მასწავლებლები დაესწრნენ სამართლის სამი დარგის სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის ლექციებსა და სემინარებს, უშუალოდ გაეცნენ კაზუსის ამოხსნის სტილს, მეთოდებს, ფარგლებს და მასში სტუდენტების მონაწილეობის ხარისხს.

გერმანიის ვიზიტის შემდეგ IRZ-ს საქართველოს წარმომადგენლობისა და საიას იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრის ორგანიზებით შეიქმნა სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის 3 სამუშაო ჯგუფი, რომლებიც იმუშავენ ქართული იურიდიული სწავლების მეთოდოლოგიაზე (კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა). თითოეულ ჯგუფში გაერთიანდა 4-4 მონაწილე სხვადასხვა უნივერსიტეტიდან.

IRZ-მ, ჯგუფების ეფექტურად მუშაობისა და მეთოდოლოგიის დოკუმენტის მომზადების გაიოლების მიზნით, გერმანულიდან ქართულ ენაზე თარგმნა Reinhard Nemitz-ის ავტორობით გამოცემული ნაშრომი “Juristische Studienhilfe - Die Schemata”, “Technick der Fallbearbeitung” (კაზუსის ამოხსნის ტექნიკა).

ჯგუფებმა სამუშაოს დიდი ნაწილი უკვე შეასრულეს. მასალა ითარგმნა და შენიშვნებისათვის გადაეგზავნა გერმანულ პროფესორებს. საბოლოო დოკუმენტის მომზადების შემდეგ იგეგმება კონფერენციის ორგანიზება, სადაც მონაწილეობას მიიღებენ როგორც გერმანელი პროფესორები, ასევე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აკრედიტაციის სამსახურის წარმომადგენლები. კონფერენციაზე ყველა იურიდიული სასწავლებლის პროფესორ-მასწავლებელს შესაძლებლობა ექნება, გაეცნოს მომზადებულ დოკუმენტს. გარდა ამისა, საუბარი იქნება სწავლების აღნიშნული სტილის დანერგვის თაობაზე.

საინფორმაციო ცენტრი

საიას იურიდიული ბიბლიოთეკა კვლავ რჩება სტუდენტებისა და იურიდიული ლიტერატურით დაინტერესებული პირებისათვის მიმზიდველ ადგილად. ბიბლიოთეკა ყოველდღიურად საშუალოდ 20-30 მკითხველს ემსახურება, რომელთა უმეტესობა სხვადასხვა სასწავლებლის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი და ფონდის სასწავლო კურსის მსმენელია. ყოველწლიურად ხორციელდება ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის განახლება უახლესი იურიდიული ლიტერატურით. ამჯერადაც, წიგნადი ფონდი 90 ერთეული შეძენილი და ნაჩუქარი პუბლიკაციით შეივსო.



მომხმარებელი სარგებლობს როგორც წიგნის ბინაზე გატანის, ასევე ადგილზე მომსახურებისა და ინტერნეტ სერვისებით. გარდა ამისა, ჩვენს მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს პროგრამა კოდექსითაც, რომელიც მუდმივად განახლებადია. საანგარიშო პერიოდში ნატოს საინფორმაციო ცენტრმა საიას ბიბლიოთეკაში გასწავლა სპეციალური კუთხე, რომელსაც პერიოდულად სხვადასხვა პუბლიკაციით ამდიდრებს.

გამოცემები

ფონდი აქტიურად მუშაობს მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტზე – ქართულ ენაზე მაღალრეიტინგული იურიდიული ლიტერატურის თარგმნასა და ქართველი ავტორების ხელშეწყობაზე მათ მიერ ახალი სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის პროცესში.

საანგარიშო პერიოდში ფონდმა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით, გამოსცა: **სამოქალაქო განათლების ლექსიკონი**, სადაც შესულია სოციალ-პოლიტიკური ყოფის ამსახველი 600-მდე ტერმინის განმარტება. ლექსიკონი, ბევრ საინტერესო ტერმინთან ერთად, მოიცავს გავლენიანი საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ეუთო, მსოფლიო ბანკი და ა.შ) შექმნისა და საქმიანობის ზოგად ანოტაციებს. ასევე, მასში შესულია იმ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების მოკლე აღწერა, რომელთაც უდიდესი გავლენა მოახდინეს თანამედროვე მსოფლიოს ფორმირებაზე – პირველი მსოფლიო ომი, მეორე მსოფლიო ომი, ცივი ომი და ა.შ.

გამოცემა განკუთვნილია მაღალი კლასის მოსწავლეთათვის. ლექსიკონი დაიბეჭდა 2000 ეგზემპლარი და გავრცელდა სკოლებში მთელი საქართველოს მასშტაბით.

ამავე პერიოდში ფონდმა ქართულ ენაზე თარგმნა და გამოსცა **იან ბრაუნლის „საერთაშორისო საჯარო სამართლის პრინციპების“** მეშვიდე გამოცემა, რომელშიც საერთაშორისო სამართლის ძირითადი საკითხები თანამედროვე სახითაა გაშუქებული. წარმოდგენილი სახელმძღვანელო მკითხველს შესაძლებლობას აძლევს, გაიზიაროს და უფრო ღრმად ჩასწვდეს საერთაშორისო სამართლის განვითარების საკითხებს. სახელმძღვანელო შეიცავს წყაროებზე ზედმიწევნით დეტალურ მითითებებს. წიგნი პრაქტიკოსთათვის იქცევა იდეალურ ცნობარად, ხოლო სტუდენტისათვის – ძირითად საკითხავ ლიტერატურად.



სტაჟირება იურიდიული დახმარების ცენტრში

მომავალი იურისტებისთვის, თეორიულ ცოდნასთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს კარგი პრაქტიკის მიღებას. ამ შესაძლებლობას საიას თბილისისა და რეგიონული ოფისების იურიდიული დახმარების ცენტრები ახალგაზრდა იურისტებს აძლევენ.

სტაჟირების პროგრამა, რომელიც უკვე წლებია ხორციელდება საიას იურიდიული დახმარების ცენტრების ბაზაზე, ნ თვის განმავლობაში გრძელდება. სტაჟირორთა შერჩევა ხდება კონკურსის საფუძველზე. სტაჟირების განმავლობაში სტუდენტები მონაწილეობენ იურიდიული კონსულტაციების გაცემის პროცესში, გამოცდილი იურისტების დავალებითა და მეთვალყურეობით ადვენენ სხვადასხვა სამართლებრივ დოკუმენტს, ეძლევათ საშუალება, ადვოკატთან ერთად მოახდინონ მოქალაქეთა ინტერესების დაცვა სასამართლოში, მონაწილეობენ სხვადასხვა სახის ტრენინგში და ა.შ.

საანგარიშო წლის განმავლობაში საიას იურიდიული დახმარების თბილისისა და 7 რეგიონული ოფისის იურიდიული დახმარების ცენტრებში სულ 95-მა დამწყებმა იურისტმა გაიარა სტაჟირება.

აღსანიშნავია, რომ ცენტრის საუკეთესო სტაჟირორებს, ვაკანსიის შემთხვევაში, რეალური შანსი აქვთ, საიას თანამშრომლები გახდნენ. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მხოლოდ საიას თბილისის ოფისში 4 სტაჟირორი დასაქმდა. ჩვენი სტაჟირორები წარმატებით იკვლევენ გზას ასევე სხვადასხვა ადმინისტრაციულ ორგანოსა თუ კერძო სექტორში.

ფინანსური ანგარიში

საანგარიშო პერიოდი: 2010 წლის 1 ოქტომბერი – 2011 წლის 30 სექტემბერი

საიას ფინანსური ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის მე-17 და მე-18 საერთო კრებებს შორის განვლილ პერიოდს. ამ ხნის განმავლობაში, სხვადასხვა წყაროდან გრანტის, შემოწირულობისა და საწევროს სახით მიღებულია 2,285,142.00 ლარი. აღნიშნული თანხა, მიღების წყაროების მიხედვით, შემდეგნაირად გამოიყურება:

Council of Europe	109,229.00 ლარი
DRC	27,650.00 ლარი
Embassy of the Netherlands	177,216.00 ლარი
EHRAC	86,765.00 ლარი
Europe Commission	233,450.00 ლარი
EWMI	706,861.00 ლარი
FES	15,440.00 ლარი
GIP	3,875.00 ლარი
HBF	2398.00 ლარი
IREX	273,196.00 ლარი
OSGF	207,664.00 ლარი
OSI	389,881.00 ლარი
SaferWorld	46,181.00 ლარი

საწევრო შენატანი	1,513.00 ლარი
------------------	---------------

სხვადასხვა კერძო და იურიდიულ პირთა შემოწირულობა	167.00 ლარი
---	-------------

სხვადასხვა შემოსავალი	3,665.00 ლარი
-----------------------	---------------

აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში ასოციაციაში არაერთჯერად სამუშაოზე დასაქმებული იყო 269 თანამშრომელი, მათ შორის 137 – რეგიონებში, რომელთა ანაზღაურების საერთო ფონდმა შეადგინა 1,624,260.00 ლარი. ერთჯერადი ჰონორარი გაიცა 417 პიროვნებაზე – საერთო თანხით 236,932.00 ლარი.

კერძო პირებზე გაცემულ ანაზღაურებებზე, ხელფასებსა და ჰონორარებზე დაკავებულ იქნა საშემოსავლო გადასახადი – 362,192.00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის მიერ შექმნილია 251,229.00 ლარის ღირებულების ძირითადი საშუალებები, მათ შორის, 144,772.00 ლარის ღირებულების საოფისე ფართი ქუთაისში, სხვადასხვა სახის საოფისე ტექნიკა რეგიონებისთვის – 36,457 ლარის ღირებულების.

ამავე პერიოდში შექმნილია საოფისე დანიშნულების სხვადასხვა მცირეფასიანი ნივთი 67,236.00 ლარის ღირებულების, მათ შორის, რეგიონებისთვის – 30,303.00 ლარის ღირებულების.

აღნიშნულ პერიოდში ასოციაციის, როგორც ცენტრალური ოფისის, ასევე რეგიონული ოფისების ბიბლიოთეკებისთვის შექმნილ იქნა 12,825.00 ლარის ღირებულების წიგნები და სხვადასხვა პერიოდული გამოცემა.

ასოციაციის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა სემინარისა და შეხვედრის მოწყობაში, რომლებიც იმართებოდა როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში, დაიხარჯა 122,385.00 ლარი.

ასოციაციის თანამშრომლებისა და წევრების სამივლინებო ხარჯებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 326,536.00 ლარი.

ასოციაციის ოფისების ქირამ შეადგინა 157,462.00 ლარი.

ამავე პერიოდში ორგანიზაციაში გაწეულმა კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა 83,457.00 ლარი, მათ შორის, რეგიონებში – 49,407.00 ლარი.

საანგარიშო პერიოდში ასოციაციის სახსრებიდან მთლიანად დახარჯულია 2,959,630.00 ლარი. აღნიშნული ხარჯი წყაროების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

Council of Europe	82,596.00 ლარი
DRC	116,968.00 ლარი
Embassy of the Netherlands	122,038.00 ლარი
EHRAC	47,176.00 ლარი
EURASIA	107,102.00 ლარი
Europe Commission	872,183.00 ლარი
EWMI	292,761.00 ლარი
FES	12,918.00 ლარი
HBF	2,380.00 ლარი
IREX	73,432.00 ლარი
IRZ	19,955.00 ლარი
OSGF	127,715.00 ლარი
OSI	217,274.00 ლარი
Oxfam NOVIB	393,734.00 ლარი
R J I	72,738.00 ლარი
SaferWorld	166,758.00 ლარი
Sida	166,789.00 ლარი
US Embassy	50,089.00 ლარი
Westminster Foundation for Democracy	7,168.00 ლარი

ასოციაციის სახსრები	7,856.00 ლარი
---------------------	---------------

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
 ორგანიზაციული ბალანსი
 2011 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

	<u>სექტ. 30, 2011</u>
აქტივები	
ძირითადი საშუალებები	906,797.85 Lari
სხვა აქტივები	2,000.00 Lari
მიმდინარე აქტივები	
მისაღები ვალდებულებები	1,326,953.78 Lari
ფულადი სახსრები	<u>792,783.19 Lari</u>
მთლიანი მიმდინარე აქტივები	2,119,736.97 Lari
მიმდინარე ვალდებულებები	
სხვა მიმდინარე ვალდებულებები	- 390.32 Lari
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები	<u>- 390.32 Lari</u>
წმინდა მიმდინარე აქტივები	<u>2,120,127.29 Lari</u>
საკუთარი აქტივები	3,028,925.14 Lari
წმინდა აქტივები	3,028,925.14 Lari

აღმ. დირექტორი

ბუღალტერი

Handwritten signature and name: ე. მისიანიძე



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მმართველობის ორგანოები

2011 წლის ოქტომბრის მდგომარეობით

გამგეობის წევრები

ჩუგოშვილი თამარ – თავმჯდომარე
ბებიაშვილი ქეთევან – თავმჯდომარის მოადგილე
ბონაშვილი ბესარიონ
თომაშვილი თამარ
კორძაია თამარ
კოჭორიძე კახა
ლეჟავა ნინო
ლომჯარია ნინო
მეტრეველი თამარ
მოსიაშვილი გავი
შშვენიერაძე გიორგი
პირველი სოსო
ჟღენტა დიანა
ტალიური ლელა
ქალდანი თამარ
ჩხეიძე გიორგი
ჩხეტია ლალი
ჭითანავა ხათუნა
ხიდაშელი თამარ
ხიდაშელი თინათინ
ჯაფარიძე სოფიო

აღმასრულებელი დირექტორი

ეკატერინე ფოფხაძე

რეგიონული ოფისების ხელმძღვანელები

აჭარის ფილიალი – პარმენ ჯალაღონია
ქუთაისის ფილიალი – თამარ ფაჩულია
რუსთავის ოფისი – ეკატერინე ფავლენიშვილი
გორის ოფისი – ქეთევან ბებიაშვილი
თელავის ოფისი – მარეხ მგალობლიშვილი
ოზურგეთის ოფისი – თამაზ ტრაპაიძე
დუშეთის ოფისი – სერგო ისაშვილი

გამოცემაზე პასუხისმგებელი: ეკატერინე ფოფხაძე, ხათუნა ყვირალაშვილი
დიზაინი: ივა ხარაძე
©2011 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია





11

წლიური ანგარიში, 2011

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია

თბილისის ოფისი

ჭ.კახიძის ქ. #15, 0102
ტელ: + (995 32) 2936101 / 2952353
ფაქსი: + (995 32) 2923211
ელ-ფოსტა: gyla@gyla.ge

ქუთაისის ფილიალი

მ.კოსტავას ქ. #11, 4600
ტელ: + (995 431) 241192
ფაქსი: + (995 431) 214585
ელ-ფოსტა: kutaisi@gyla.ge

აჭარის ფილიალი

ბათუმი, გორგასლის ქ. #89, 6000
ტელ: + (995 422) 276668,
ფაქსი: + (995 422) 222950
ელ-ფოსტა: batumi@gyla.ge

გორის ოფისი

სტალინის ქ. #19, 1400
ტელ: + (995 370) 272646
ფაქსი: + (995 370) 279842
ელ-ფოსტა: gori@gyla.ge

რუსთავის ოფისი

კოსტავას 15 ა/5, 3700
ტელ: + (995 341) 255337
ფაქსი: + (995 341) 240566
ელ-ფოსტა: rustavi@gyla.ge

თელავის ოფისი

ბარნოვის ქ. #10, 2200
ტელ/ფაქსი: + (995 350) 271371
ელ-ფოსტა: telavi@gyla.ge

ოზურგეთის ოფისი

გაბრიელ ეპისკოპოსის ქ. #25/10, 3500
ტელ/ფაქსი: + (995 496) 273138
ელ-ფოსტა: ozurgeti@gyla.ge

დუშეთის ოფისი

რუსთაველის ქ. #29, 1810
ტელ: + (995 346) 221554
ფაქსი: + (995 346) 221553
ელ-ფოსტა: dusheti@gyla.ge